2023

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ორწლიანი ანგარიში

© ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო

სარჩევი

შესავალი 6

ამოცანა 1.1 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენცია 8

აქტივობა 1.1.1 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 8

აქტივობა 1.1.2 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო ვიდეო რგოლის გაშვება მედიის საშუალებით 9

აქტივობა 1.1.3 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო რადიო რგოლის გავრცელება 10

აქტივობა 1.1.4 ახალი კორონავირუსით გამოწვეული ვითარების გათვალისწინებით საინფორმაციო მასალის გავრცელება იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში, ასევე საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში (მათი თანხმობის შემთხვევაში), დიასპორულ ორგანიზაციებში, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში, სასაზღვრო გამტარ პუნქტებში, იძულებით გადაადგილებულ პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრებსა და სხვა მაღალი რისკის შემცველ ადგილებსა და რეგიონებში 11

აქტივობა 1.1.5 ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე დისკუსიების, საინფორმაციო შეხვედრებისა ან/და კონფერენციების გამართვაადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში 12

აქტივობა 1.1.6 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებების დონეზე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე იმიტირებული სასამართლო პროცესის გამართვა, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში 15

აქტივობა 1.1.7 ტრეფიკინგის რისკების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ შეხვედრების ჩატარება იძულებით გადაადგილებულ პირებთან, თავშესაფრის მაძიებლებთან, ეთნიკურ/ეროვნულ უმცირესობებთან 16

აქტივობა 1.1.8 იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის რისკების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ შეხვედრების ჩატარება კერძო სექტორში მომუშავე დამსაქმებელთა და დასაქმებულთათვის 17

აქტივობა 1.1.9 ტრეფიკინგის რისკების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ შეხვედრების ჩატარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან 18

აქტივობა 1.1.10 ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციისა და უწყებების მუშაობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ინფორმაციის მუდმივად განახლება ვებ-გვერდებზე.....18

აქტივობა 1.1.11 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ოფიციალური facebook გვერდის შექმნა და ფუნქციონირება 19

აქტივობა 1.1.12 იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ. გვერდსა და საბჭოს ოფიციალურ facebook გვერდზე ინფორმაციის განთავსება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპულის სასამართლოს გადაწყვეტილებების შესახებ.....19

აქტივობა 1.1.13 ყოველწლიურად ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული და საერთაშორისო დღის აღნიშვნა (18 ოქტომბერი, 30 ივლისი).....20

აქტივობა 1.1.14 ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციის მიზნით მედიის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში,ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე.....20

ამოცანა 1.2 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული გამოვლენის მექანიზმების დახვეწა და ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება 20

აქტივობა 1.2.1 იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევების გამოვლენის მიზნით სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომელთათვის 20

აქტივობა 1.2.2 ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციის და გამოვლენის ხელშეწყობის მიზნით ფინანსური დაზვერვის სამსახურისათვის და ფინანსური საგამოძიებო სამსახურებისთვის სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება.....21

აქტივობა 1.2.3 სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოწმების მობილური ჯგუფებისა და სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) მიერ ტრეფიკინგის მიზნებისთვის მაღალ რისკს მიკუთვნებული ადგილების შემოწმება და დასაქმებულ პირთა გამოკითხვა ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით 21

აქტივობა 1.2.4 ტრეფიკინგის მსხვერპლთა ჩვენების არარსებობისას გამოძიებების დაწყება პროაქტიულად.....22

აქტივობა 1.2.5 შრომის ინსპექციის სამსახურსა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს შორის თანამშრომლობა შრომითი ექსპლუატაციის ნიშნების გამოვლენის, რეფერირებისა და დროული რეაგირების მიზნით 22

აქტივობა 1.2.6 ყოველწლიურად ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ახალი ტენდენციების, ასევე მსხვერპლთა/დაზარალებულთა და დამნაშავეთა პროფილის შესწავლა და შეფასება არსებული საქმეების საფუძველზე 23

აქტივობა 1.2.7 ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციის გამოვლენის მიზნით საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება შემდგომი დახვეწის მიზნით.....26

აქტივობა 1.2.8 პროკურორებისა და სტაჟიორ-პროკურორების გადამზადება და ახალი ტენდენციების გაცნობა ადამიანით ვაჭრობის საკითხებზე, მათ შორის, საჭიროების

შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში.....26

აქტივობა 1.2.9 მოწმეთა და დაზარალებულთა კოორდინატორების გადამზადება ტრეფიკინგის საკითხებზე, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში 30

აქტივობა 1.2.10 სასაზღვრო გამტარ პუნქტებში მომუშავე პერსონალის გადამზადება მსხვერპლთა/პოტენციურ მსხვერპლთა და დამნაშავეთა გამოვლენის მიზნით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში.....30

აქტივობა 1.2.11 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის გამომძიებლების, საპატრულო პოლიციის თანამშრომლების, რაიონული განყოფილების თანამშრომლების გადამზადება და მათთვის ახალი ტენდენციების გაცნობა ტრეფიკინგის საქმეების გამოძიებისა და მსხვერპლთან/დაზარალებულთან მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში 31

აქტივობა 1.2.12 შინაგან საქმეთა სამინისტროს მართლწესრიგის ოფიცრების გადამზადება ტრეფიკინგის საკითხებზე, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში 34

აქტივობა 1.2.13 სპეციალისტების ჯგუფის წევრების (Task Force) გადამზადება ტრეფიკინგის თემაზე და მათთვის ახალი ტენდენციების გაცნობა სავარაუდო მსხვერპლთა/დაზარალებულთა გამოვლენასა და მათთან მოპყრობასთან დაკავშირებით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში.....34

აქტივობა 1.2.14 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომელთა გადამზადება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში.....35

აქტივობა 1.2.15 შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში 36

აქტივობა 1.2.16 შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომელთა გადამზადება სავარაუდო მსხვერპლთა/დაზარალებულთა გამოვლენასა და მათთან მოპყრობასთან დაკავშირებით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში 36

აქტივობა 1.2.17 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე მოსამართლეებისა და მათი თანაშემწეების გადამზადება, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში 37

აქტივობა 1.2.18 არსებული სასწავლო მასალის საფუძველზე საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირთა გადამზადება ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა/დაზარალებულთან მოპყრობისა და დახმარების საკითხთან დაკავშირებით,

მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში....38

აქტივობა 1.2.19 იუსტიციის სახლების, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებისა და საზოგადოებრივი ცენტრების თანამშრომელთა გადამზადება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში....39

აქტივობა 1.2.20 საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილე ქართველი სამხედროების მომზადება ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა/დაზარალებულების იდენტიფიცირების, მათთან მოპყრობის, მათი დახმარებისა და რეფერირების საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში....39

ამოცანა 1.3 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა....40

აქტივობა 1.3.1 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა არსებული თავშესაფრების და კრიზისული ცენტრების საქმიანობის მონიტორინგი....40

აქტივობა 1.3.2 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულ უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მუდმივ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში, ხოლო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ საქართველოს მოქალაქეთა საქართველოს ტერიტორიაზე უსაფრთხოდ დაბრუნების უზრუნველყოფა....42

აქტივობა 1.3.3 უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა, საჭიროების შემთხვევაში, დროებითი ბინადრობის ნებართვით უზრუნველყოფა....42

აქტივობა 1.3.4 ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით არსებული პრაქტიკისა და შესაძლებლობების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება....42

აქტივობა 1.3.5 ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირების მუდმივმოქმედი ჯგუფისთვის სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება....43

აქტივობა 1.3.6 ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირების მუმდივმოქმედი ჯგუფის უნარ-ჩვენების ამაღლება ტრენინგის გზით....43

აქტივობა 1.3.7 ზრუნვის სააგენტოს პერსონალის უნარ-ჩვევების ამაღლება ტრეფიკინგის მსხვერპლებთა, დაზარალებულთა დახმარების საკითხებში ტრენინგების გზით....43

აქტივობა 1.3.8 ტრენინგის გზით იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე....44

აქტივობა 1.3.9 სამედიცინო სერვისების მიმწოდებლების გადამზადება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე....44

აქტივობა 1.3.10 ტრენინგის გზით სოციალური მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლება ტრეფიკინგის მსხვერპლებისა და დაზარალებულების დახმარების საკითხებში....45

ამოცანა 1.4 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის გაუმჯობესება კოორდინაციისა და თანამშრომლობის მექანიზმის გაძლიერების გზით....45

აქტივობა 1.4.1 სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრეს ანგარიშის (6-თვიანი) და მონიტორინგის ანგარიშის (წლიური) მომზადება 45

აქტივობა 1.4.2 ახალი სამოქმედო გეგმის პროექტის მომზადება და საბჭოს მიერ დამტკიცება.....46

აქტივობა 1.4.3 ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების გზით სახელმწიფო უწყებების თანამშრომლობის გაღრმავება არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან 46

აქტივობა 1.4.4 შრომითი ექსპლუატაციის პრევენციისა და მასზე რეაგირების მიზნით ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავება 47

აქტივობა 1.4.5 ბავშვთა ტრეფიკინგის შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით ზრუნვის სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის ერთობლივი სამუშაო შეხვედრების ჩატარება 48

აქტივობა 1.4.6 შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით ჯანდაცვის სამინისტროს (შრომის ინსპექციის სამსახური), შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის ერთობლივი სამუშაო შეხვედრების ჩატარება 49

აქტივობა 1.4.7 სამართლის პროცესში მონაწილე უწყებების მიერ, საჭიროების შემთხვევაში, დასრულებული საქმეების ერთობლივი განხილვა ტრეფიკინგის დანაშაულის ახალი ტენდენციების გამოვლენის მიზნით 49

აქტივობა 1.4.8 პარტნიორი ქვეყნების, განსაკუთრებით კი საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოების შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავება/მოლაპარაკებების დაწყება, მათ შორის ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით 50

აქტივობა 1.4.9 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეებზე უცხო ქვეყნების სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობების შესრულება და საქართველოს კომპეტენტური ორგანოების სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობების გადაგზავნა მოკლე ვადებში 51

შესავალი

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა, განსაკუთრებით კი არასრულწლოვანთა ტრეფიკინგთან ბრძოლა, წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს. საქართველო აქტიურად აგრძელებს ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც მიზნად ისახავს სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებასა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობას, ამ დანაშაულის ეფექტიან გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, მსხვერპლთა და დაზარალებულთათვის ეფექტიანი დახმარების აღმოჩენას, მათ საფუძვლიან რეაბილიტაციასა და საზოგადოებაში რეინტეგრაციას.

ტრეფიკინგთან ბრძოლის ერთიანი და კოორდინირებული სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად, 2006 წლიდან ინსტიტუციურ დონეზე მოქმედებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში - ტრეფიკინგთან ბრძოლის საბჭო).

საბჭო კოორდინაციას უწევს ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე სამთავრობო უწყებების მუშაობას, მონიტორინგს ახორციელებს ეროვნული სამოქმედო გეგმის ჯეროვან შესრულებაზე, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, დანაშაულის პრევენციისა და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და, საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებებს, ასევე, ამზადებს სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდულ და საბოლოო ანგარიშებს.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, 2020 წლის 2 დეკემბერს საბჭომ დაამტკიცა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ორწლიანი ეროვნული სამოქმედო გეგმა (შემდგომში –სამოქმედო გეგმა), რომელიც მოიცავს 2021-2022 წლებში განსახორციელებელ საქმიანობებს.

სამოქმედო გეგმა, ასევე, დიდ ყურადღებას უთმობს ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის პოლიტიკის განვითარებას ანალიზისა და კვლევის საფუძველზე, ტრეფიკინგის თემაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კომპონენტსა და ადამიანით ვაჭრობის საკითხებზე მომუშავე პირების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით პროფესიული ტრენინგების ჩატარებას.

სახელმწიფოს მიერ ზემოაღნიშნული მიმართულებებით განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით 2021 და 2022 წლების ანგარიშებში „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ღონისძიებებით საქართველო მსოფლიოს მასშტაბით კვლავ პირველ საფეხურზეა. 190-მდე შეფასებულ ქვეყანას შორის საქართველო ერთ-ერთია, რომლიც სრულად აკმაყოფილებს ტრეფიკინგთან ბრძოლის სტანდარტებს და მუდმივ რეჟიმში აგრძელებს თანმიმდევრულ და კოორდინირებულ ღონისძიებებს ტრეფიკინგთან ბრძოლის კუთხით. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ საქართველო, მიუხედავად „კოვიდ-19“-ით გამოწვეული პანდემიისა და სირთულეებისა, აგრძელებს მტკიცე და მდგრად ძალისხმევას ტრეფიკინგთან ბრძოლის მიმართულებით, რაც განაპირობებს ქვეყნის დადებით შეფასებას – 4-სკალიანი რეიტინგული სისტემით საქართველოს უმაღლესი შეფასება აქვს.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების 2-წლიან ანგარიშს, რომელიც მოიცავს 2021 წლის 1-ელი იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.

2021-2022 წლებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების კუთხით მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელება. ვირუსით გამოწვეული პანდემიისა და მისი პრევენციის მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით სახელმწიფო უწყებები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას, ეფექტიანად და დროულად განეხორციელებინათ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები. მონიტორნგის საფუძველზე დადგინდა, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 53 აქტივობიდან სრულად შესრულდა 37 აქტივობა (69.8%), მეტწილად შესრულდა 3 აქტივობა (5.7%), ნაწილობრივ შესრულდა 4 აქტივობა (7.6%), და არ შესრულდა 9 აქტივობა (16.9%).



ამოცანა 1.1 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენცია

სტატუსი: სრულად შესრულდა

2022 წლის 8-21 ნოემბრის პერიოდში მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის დაკვეთით, გლობალურმა კვლევითმა ორგანიზაციამ - act-მ საქართველოს მასშტაბით ჩაატარა საზოგადოებრივი აზრის კვლევა მიგრაციის საკითხებზე. რაოდენობრივი კვლევის ანგარიშის თანახმად ტრეფიკინგი საქართველოს მოსახლეობისთვის, ძირითადად, უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე იძულებით შრომაში და/ან იძულებით პროსტიტუციაში ჩართვასთან ასოცირდება (49%-37%). რიგით მესამე ყველაზე დიდი სიხშირით დასახელებულ ახსნაზე - უცხო ქვეყანაში ადამიანის მოტყუებით წაყვანა - მიუთითებს ყოველი მესამე რესპონდენტი (30%). გამოკითხულებისთვის ცალსახაა, რომ ტრეფიკინგი რაიმეს იძულებას და არა ნებაყოფლობით აქტს გულისხმობს. ამის მიუხედავად, რესპონდენტების 21%-ს უჭირს ტრეფიკინგის განმარტება. პასუხის დაფიქსირება სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას უფრო გაუჭირდა (30%), ვიდრე თბილისსა (18%) და სხვა ქალაქებში მცხოვრებ რესპონდენტებს (11%). ამასთან, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებიდან ყოველი მეორე (51%) ვერ განმარტავს ტრეფიკინგის ცნებას. შესაბამისად. გამოკითხული პირებიდან 10-დან 8-მ იცის რა არის ტრეფიკინგი, ხოლო ეთნიკური უმცირესობებიდან 10-დან 5-მა იცის რა არის ტრეფიკინგი.

აქტივობა 1.1.1 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში

ინდიკატორი: სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოებში ინტეგრირერებული ტრეფიკინგის თემა; ტრეფიკინგის საკითხებზე დამხმარე სახელმძღვანელოები, მათ შორის უმცირესობების ენაზე

სტატუსი: სრულად შესრულდა

2021 წელს, სამოქალაქო განათლების სახელმძღვანებლოებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხის ინტეგრირების მიზნით, დასრულდა გრიფირების პროცესი. ტრეფიკინგის თემა სახელმძღვანელოში წარმოდგენილია სამოქალაქო ცნობიერების, პიროვნული განვითარებისა და ადამიანის უფლებების კონტექსტში.

ზემოაღნიშნული გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოს გარდა, მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ მომზადებული დამხმარე სახელმძღვანელოები IX და X კლასებისათვის, სათაურით - „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“, რომლებიც ორ-ორი საგაკვეთილო თემისაგან შედგება. სახელმძღვანელოები გამდიდრებულია ვიდეორესურსითაც და თან მოყვება სპეციალური ცნობარი მშობელთათვის.

საანგარიშო პერიოდში ტრეფიკინგთან დაკავშირებული საკითხები გათვალისწინებული იყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (TPDC), სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სააგენტოს მიერ მოწოდებულ ტრენინგ მოდულებში:

- 2021 წელს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, TPDC-ისა და UN WOMEN-ის ერთობლივი თანამშრომლობით შემუშავდა ტრენინგის მოდული

„გენდერული მეინსტრიმინგი განათლებაში: გენდერული ძალადობა და ოჯახში ძალადობა“, რომელიც ერთ-ერთ თემად მოიცავდა ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგის);

- ტრენინგის მოდული: „ბავშვთა მიმართ ძალადობის დაძლევა, INSPAIR (Law Implementation and Enforcement; Norms and Values; Safe Environments; Parent and Caregiver Support; Income and Economic Strengthening; Response and Support Services; and Education and Life Skills) სტრატეგიები;

2020 წლიდან TPDC უწევს მიზანმიმართულ კონსულტაციებს სკოლებს, რომლებიც ჩართულნი არიან განათლების რეფორმის განხორციელებაში ევროპის საბჭოს პროექტ “Reference Framework of Competences for Democratic Culture” განხორციელების პროცესში. სკოლის დირექტორები და ადმინისტრაციის პერსონალი მუშაობდნენ სასკოლო პროექტებზე, რომლებიც ეხებოდა ადამიანის უფლებების საკითხებს, მათ შორის ტრეფიკინგს.

აქტივობა 1.1.2 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო ვიდეო რგოლის გაშვება მედიის საშუალებით

ინდიკატორი: მედია საშუალებების რაოდენობა გაშვების დროის მითითებით, რომელთა მეშვეობითაც გავრცელდა საინფორმაციო ვიდეო რგოლი (მინ. 2); სატელევიზიო ვიდეო რგოლის რაოდენობა (მინ. 1)

სტატუსი: სრულად შესრულდა

2021 წლის 30 ივლისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სოციალურ ქსელებში (Facebook, Instagram) განთავსდა საინფორმაციო ბანერი და გრაფიკული ვიდეო. აღნიშნული გრაფიკული ვიდეოკლიპისა და ბანერის მიზანი იყო საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: როგორ დავიცვათ თავი ადამიანებით ვაჭრობისგან? რა უნდა იყოს ხაზგასმული და მიექცეს ყურადღება დამსაქმებლებთან მიმართებაში, რა ინფორმაცია უნდა მოიძიოს კომპანიამ ან დამსაქმებელმა და როგორ უნდა მოიქცეს იმ სიტუაციაში, როდესაც ადამიანი ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი.

2022 წლის 12 აპრილს, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კამპანიის პრეზენტაცია გაიმართა, სადაც, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ევროკავშირის მხარდაჭერით შექმნილი ვიდეორგოლების ჩვენება შედგა. აღნიშნული ვიდეორგოლებიდან ერთი ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლასთან იყო დაკავშირებული. აღნიშნული ღონისძიება გაშუქდა სატელევიზიო საინფორმაციო გამოშვებებში და სხვა მედიასაშუალებებშიც. აღნიშნულის შემგომ, 12 აპრილიდან, ორი კვირის განმავლობაში, ყოველდღიურ რეჟიმში, დღეში მინიმუმ 6-ჯერ, 5 ტელევიზიის სარეკლამო ეთერში გადიოდა ვიდეორგოლი ტრეფიკინგის თემაზე. აგრეთვე, აღნიშნული ვიდეორგოლი განთავსდა სოციალურ ქსელში - კერძოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ოფიციალურ Facebook გვერდებზე.

საანგარიშო პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს პროექტი, „პოლიციის ფაილები“ შუქდებოდა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში. პროექტის შემადგენელი რამდენიმე ეპიზოდი სწორედ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლას ეხმიანება.

ამასთან, ,,პოლიციის ფაილების“ 2022 წლის შემაჯამებელი ფილმი ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ეთერში გავიდა, სადაც ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დირექტორმა ისაუბრა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ტრეფიკინგის ბრძოლის კუთხით გატარებულ ღონისძიებებსა და მიღწევებზე.

აქტივობა 1.1.3 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო რადიო რგოლის გავრცელება

ინდიკატორი: რადიო საშუალებების რაოდენობა გაშვების დროის მითითებით, რომელთა მეშვეობითაც გავრცელდა საინფორმაციო რადიო რგოლი (მინ. 2); რადიო რგოლების რაოდენობა (მინ. 1)

სტატუსი: სრულად შესრულდა

საანგარიშო პერიოდში რადიო გადაცემები და რეკლამები ხშირად ეძღვნებოდა ტრეფიკინგის საკითხებს. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (ზრუნვის სააგანტო) კომპეტენციის ფარგლებში, ტრეფიკინგის თემაზე ინფორმაციული რადიო რგოლის გავრცელების მიზნით შემდეგი აქტივობები იქნა განხორციელებული:

- რადიო „მაესტროს“ ეთერში რადიო რგოლის გაშვება დაიწყო 2020 წლის 16 დეკემბრიდან და გაგრძელდა 2021 წლის 16 აპრილამდე;

- რადიო „იმედის“ ეთერში რადიო რგოლის გაშვება დაიწყო 2020 წლის 16 დეკემბრიდან და გაგრძელდა 2021 წლის 16 მარტამდე;

- რადიო „პალიტრას“ ეთერში რადიო რგოლის გაშვება დაიწყო 2021 წლის 11 ნოემბერიდან და დასრულდა 2021 წლის 24 ნოემბერს;

- რადიო „პალიტრა ტვ-ს“ ეთერში რადიო რგოლის გაშვება დაიწყო 2021 წლის 12 ნოემბრიდან და დასრულდა 2022 წლის 11 თებერვალს;

- რადიო „ტვ იმედის“ ეთერში რადიო რგოლის გაშვება დაიწყო 2021 წლის 17 ნოემბერიდან და დასრულდა 2021 წლის 25 ნოემბერს;

- რადიო „პოს ტვ-ს“ ეთერში რადიო რგოლის გაშვება დაიწყო 2021 წლის 20 ნოემბერს და დასრულდა 2022 წლის 13 იანვარს;

- რადიო „რუსთავი 2-ს“ ეთერში რადიო რგოლის გაშვება დაიწყო 2021 წლის 20 ნოემბერს და დასრულდა 2021 წლის 04 დეკემბერს;

- რადიო „საზოგადოებრივი მაუწყებელის“ ეთერში რადიო რგოლის გაშვება დაიწყო 2021 წლის 13 ნოემბერს და დასრულდა 2022 წლის 14 იანვარს;

- რადიო „იმედის“ ეთერში რადიო რგოლის გაშვება დაიწყო 2021 წლის 10 დეკემბრს და დასრულდა 2022 წლის 28 თებერვლს.

- რადიო „იმედის“ ეთერში ტრეფიკინგის შესახებ რადიო რგოლის გაშვება დაიწყო 2021 წლის 10 დეკემბრიდან და დასრულდა 2022 წლის 28 თებერვალს;

- რადიო „პალიტრა ტვ“-ის რადიო რგოლის გაშვება ეთერში დაიწყო 2021 წლის 12 ნოემბერს და დასრულდა 2022 წლის 11 თებერვალს;

- რადიო „პოს ტვ-ს“ ეთერში რადიო რგოლის გაშვება დაიწყო 2021 წლის 20 ნოემბერს და დასრულდა 2022 წლის 13 იანვარს;

- რადიო „საზოგადოებრივი მაუწყებელის“ ეთერში რადიო რგოლის გაშვება დაიწყო 2021 წლის 13 ნოემბერს და დასრულდა 2022 წლის 14 იანვარს;

2022 წლის სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში ვიდეო/რადიო რგოლები გადიოდა აგრეთვე საზოგადოებრივი მაუწყებლის, ტელეკომპანია "იმედის" და რადიო იმედის (აუდიო რგოლი) ეთერში.

აქტივობა 1.1.4 ახალი კორონავირუსით გამოწვეული ვითარების გათვალისწინებით საინფორმაციო მასალის გავრცელება იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში, ასევე საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში (მათი თანხმობის შემთხვევაში), დიასპორულ ორგანიზაციებში, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში, სასაზღვრო გამტარ პუნქტებში, იძულებით გადაადგილებულ პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრებსა და სხვა მაღალი რისკის შემცველ ადგილებსა და რეგიონებში

ინდიკატორი: გავრცელებული ბროშურების რაოდენობა სამიზნე ჯგუფების მიხედვით (ჯამში მინ. 5 000)

სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა

2021-2022 წლების განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლების მიერ ადამიანით ვაჭრობის ფაქტების იდენტიფიცირების მიზნით თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გამოკითხული იქნა სხვადასხვა ქვეყნიდან დეპორტირებული 1 954 საქართველოს მოქალაქე, რომლებსაც გადაეცათ საინფორმაციო ხასიათის ბროშურები. ასევე, მოქალაქეებს გადაეცათ ტრეფიკინგის საფრთხეების და მისგან თავის დაცვის საშუალებების შესახებ საინფორმაციო ხასიათის 825 ბროშურა.

2021 წელს, თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში, გავრცელდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო მასალები თურქულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. თითოეულ ენაზე 500-500 ერთეული, ჯამში 1500 ცალი. აღნიშნული ბროშურები ხელმისაწვდომი იყო ცენტრში მოთავსებული პირებისთვის.

სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას 2021 წლის 23 ივლისს, ზრუნვის სააგენტომ გადასცა ტრეფიკინგის საკითხებზე საკონსულტაციო ცხელი ხაზისა (116 006) და მსხვერპლთათვის არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ 3500 ექვსენოვანი საინფორმაციო ბროშურა, რომლებიც 2021-2022 წლების განმავლობაში ეტაპობრივად რიგდებოდა და ვრცელდებოდა ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში:

- ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის საინფორმაციო ცენტრი;
- ქ. თბილისის საინფორმაციო ცენტრი;
- ქ. მცხეთის საინფორმაციო ცენტრი;
- ქ. გორის საინფორმაციო ცენტრი;
- ახალციხის საინფორმაციო ცენტრი;
- ქ. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის საინფორმაციო ცენტრი;
- ქ. ქუთაისის საინფორმაციო ცენტრი;
- ქ. წყალტუბოს საინფორმაციო ცენტრი;
- ქ. ზუგდიდის საინფორმაციო ცენტრი;
- ქ. მარტვილის საინფორმაციო ცენტრი,

2022 წლის აგვისტოს თვეში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ განხორციელებული საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგთან) წინააღმდეგ ბრძოლა - ორგანიზაციის მიერ დამზადდა ფლაერები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) საკითხებზე ქართულ, ინგლისურ, რუსულ და თურქულ ენებზე (35 000-მდე). აღნიშნული საინფორმაციო ფლაერები გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარ სამმართველოს და მოქალაქეთა ინფორმირების მიზნით განთავსდა საქართველოს სახელმწიფო სასაზღვრო გამტარ პუნქტებში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, სარფი, დარიალი, წითელი ხიდი, სადახლო).

აქტივობა 1.1.5 ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე დისკუსიების, საინფორმაციო შეხვედრებისა ან/და კონფერენციების გამართვაადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში

ინდიკატორი: განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა (მინ. 30); მონაწილეთა რაოდენობა (მინ. 600)

სტატუსი: სრულად შესრულდა

2021 წლის განმავლობაში ადამიანით ვაჭრობის თემატიკასთან დაკავშირებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები განხორციელდა 10 სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. აღნიშნულ ღონისძიებებში სულ ჩართული იყო 800-მდე დაინტერესებული პირი (პროფესიული სტუდენტები, ადმინისტრაციული პერსონალი და სხვა).

რაც შეეხება უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საანგარიშო პერიოდში ადამიანით ვაჭრობის თემაზე განახორციელა სხვადასხვა აქტივობა:

- შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე არჩევითი კურსის, "სოციალური საკითხების გაშუქების" ფარგლებში, ტრეფიკინგი ერთ-ერთი სალექციო თემაა, რომელსაც ჯამურად 3 საათი ეთმობა;

- 2021 წლის აპრილში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, Teen Academy-ის ფარგლებში, მიმდინარე პროექტის, „გახდი იურისტის“ მონაწილეებისათვის გაიმართა დისკუსია სისხლის სამართლის სხვადასხვა დანაშაულთან, მათ შორის, ტრეფიკინგის საკითხებთან დაკავშირებით, მონაწილეებმა განიხილეს დანაშაულის სახეები და ამოხსნეს სხვადასხვა კაზუსი;

- 2021 წლის აპრილში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, Teen Academy-ის ფარგლებში, მიმდინარე პროექტის, „გახდი იურისტის“ მონაწილეებისათვის გაიმართა დისკუსია სისხლის სამართლის სხვადასხვა დანაშაულთან, მათ შორის, ტრეფიკინგის საკითხებთან დაკავშირებით, მონაწილეებმა განიხილეს დანაშაულის სახეები და ამოხსნეს სხვადასხვა კაზუსი;

- 2021 წლის მაისში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის ინიციატივით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლისა და საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის სამივე საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტებისათვის გაიმართა შეხვედრა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორებთან. სტუმრების მიერ საპოლიციო სამართალთან ერთად მიმოიხილეს ტრეფიკინგის თემებიც;

- 2021 წლის დეკემბერში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად, ჩაატარა მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დანაშაულის კვლევის აქტუალური საკითხები“, სადაც განხილულ იქნა ადამიანით ვაჭრობის საკითხიც;

- 2021 წლის 17 დეკემბერს, ონლაინ ფორმატში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან, სადაც ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენელმა ისაუბრა ადამიანით ვაჭრობის საკითხებზე (დამსწრეთა რაოდენობა - 25);

2022 წელს, ზრუნვის სააგენტომ, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ დღესთან დაკავშირებით, საქართველოს მასშტაბით, თბილისსა და რეგიონებში (ქ. ქუთაისი, ქ. გორი, ქ. ბათუმი, ქ. სიღნაღი, ქ. მარნეული, ქ. ოზურგეთი) ცნობიერების ამაღლების კუთხით გამართა საინფორმაციო შეხვედრები, ზოგად საგანმანათლებლო, პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლეებთან, სტუდენტებთად და დაინტერესებულ პირებთან:

- 18 - 19 ოქტომბერს თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ დღესთან

დაკავშირებით სააგენტომ გამართა საინფორმაციო შეხვედრა. შეხვედრაზე მიწოდებული იქნა ინფორმაცია ტრეფიკინგის, როგორც დანაშაულის და მისი ფორმების შესახებ, ასევე საქართველოში არსებული ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის განკუთვნილი სახელმწიფო სერვისების თაობაზე (მათ შორის სააგენტოს ძალადობისაგან დაცვის საკონსულტაციო ცხელი ხაზის (116 006) შესახებ). დაესწრო - 25 სტუდენტი;

– 18 - 19 ოქტომბერს ქ. ქუთაისში, კოლეჯ "იბერიაში" ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ დღესთან დაკავშირებით სააგენტომ გამართა საინფორმაციო შეხვედრა. შეხვედრაზე მიწოდებული იქნა ინფორმაცია ტრეფიკინგის, როგორც დანაშაულის და მისი ფორმების შესახებ, ასევე საქართველოში არსებული ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის განკუთვნილი სახელმწიფო სერვისების თაობაზე (მათ შორის სააგენტოს ძალადობისაგან დაცვის საკონსულტაციო ცხელი ხაზის (116 006) შესახებ). დაესწრო- 20 სტუდენტი;

– 18 - 19 ოქტომბერს ქ. გორში პროფესიულ კოლეჯ "განთიადში" ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ დღესთან დაკავშირებით სააგენტომ გამართა საინფორმაციო შეხვედრა. შეხვედრაზე მიწოდებული იქნა ინფორმაცია ტრეფიკინგის, როგორც დანაშაულის და მისი ფორმების შესახებ, ასევე საქართველოში არსებული ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის განკუთვნილი სახელმწიფო სერვისების თაობაზე (მათ შორის სააგენტოს ძალადობისაგან დაცვის საკონსულტაციო ცხელი ხაზის (116 006) შესახებ).დაესწრო - 17 სტუდენტი;

– 19 ოქტომბერს ქ. ქობულეთში, კოლეჯ "ახალ ტალღაში" ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ დღესთან დაკავშირებით სააგენტომ გამართა საინფორმაციო შეხვედრა. შეხვედრაზე მიწოდებული იქნა ინფორმაცია ტრეფიკინგის, როგორც დანაშაულის და მისი ფორმების შესახებ, ასევე საქართველოში არსებული ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის განკუთვნილი სახელმწიფო სერვისების თაობაზე (მათ შორის სააგენტოს ძალადობისაგან დაცვის საკონსულტაციო ცხელი ხაზის (116 006) შესახებ).დაესწრო - 37 სტუდენტი;

– 18 - 19 ოქტომბერს ქ. წნორში არსებულ სამედიცინო/ჰუმანიტარულ კოლეჯში (დაესწრო - 27 სტუდენტი) და სოფელ საქობოს საჯარო სკოლში (დაესწრო 42 მოსწავლე და პედაგოგი) ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ დღესთან დაკავშირებით სააგენტომ გამართა საინფორმაციო შეხვედრა. შეხვედრაზე მიწოდებული იქნა ინფორმაცია ტრეფიკინგის, როგორც დანაშაულის და მისი ფორმების შესახებ, ასევე საქართველოში არსებული ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის განკუთვნილი სახელმწიფო სერვისების თაობაზე (მათ შორის სააგენტოს ძალადობისაგან დაცვის საკონსულტაციო ცხელი ხაზის (116 006) შესახებ);

– 20 ოქტომბერს ქ. მარნეულის კოლეჯში (დაესწრო - 31 სტუდენტი და პედაგოგი) ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ დღესთან დაკავშირებით სააგენტომ გამართა საინფორმაციო შეხვედრა. შეხვედრაზე მიწოდებული იქნა ინფორმაცია ტრეფიკინგის, როგორც დანაშაულის და მისი ფორმების შესახებ, ასევე საქართველოში არსებული ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის განკუთვნილი სახელმწიფო სერვისების

თაობაზე (მათ შორის სააგენტოს ძალადობისაგან დაცვის საკონსულტაციო ცხელი ხაზის (116 006) შესახებ);

- 18 ოქტომბერს ქ. ოზურგეთის N1 საჯარო სკოლაში (დაესწრო - 25 მოსწავლე) და პროფესიულ კოლეჯ ,,ჰორიზონტში“ (დაესწრო 15 მოსწავლე და პედაგოგი) ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ დღესთან დაკავშირებით სააგენტომ გამართა საინფორმაციო შეხვედრა. შეხვედრაზე მიწოდებული იქნა ინფორმაცია ტრეფიკინგის, როგორც დანაშაულის და მისი ფორმების შესახებ, ასევე საქართველოში არსებული ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის განკუთვნილი სახელმწიფო სერვისების თაობაზე (მათ შორის სააგენტოს ძალადობისაგან დაცვის საკონსულტაციო ცხელი ხაზის (116 006) შესახებ);

- 18 - 19 ოქტომბერს ,,ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში“ (დაესწრო - 33 სტუდენტი) და ,,საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში“ (დაესწრო - 47 სტუდენტი) ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ დღესთან დაკავშირებით სააგენტომ გამართა საინფორმაციო შეხვედრა. შეხვედრაზე მიწოდებული იქნა ინფორმაცია ტრეფიკინგის, როგორც დანაშაულის და მისი ფორმების შესახებ, ასევე საქართველოში არსებული ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის განკუთვნილი სახელმწიფო სერვისების თაობაზე (მათ შორის სააგენტოს ძალადობისაგან დაცვის საკონსულტაციო ცხელი ხაზის (116 006) შესახებ).

2022 წელს შრომის ინსპექციის სამსახურმა, ევროკავშირის დაძმობილების პროექტის მხარდაჭერით განახორციელა შრომის უსაფრთხოების სფეროში მოღვაწე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების მსმენელებთან 5 შეხვედრა, რომლებსაც ესწრებოდა 700 მდე პირი და განხილული იქნა შრომითი უფლებებისა და უსაფრთხოების მიმართულებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები და მიმდინარე სიახლეები; ასევე იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის ზედამხედველობასთან დაკავშირებული საკითხები; ბავშვთა შრომისა და არასრულწლოვანთა შრომის აკრძალვასთან დაკავშირებული საკნონმდებლო მოთხვონები.

აქტივობა 1.1.6 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებების დონეზე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე იმიტირებული სასამართლო პროცესის გამართვა, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში

ინდიკატორი: ჩატარებული იმიტირებული პროცესი (2); მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა (მინიმუმ 32);

სტატუსი: სრულად შესრულდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) ორგანიზებით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან თანამშრომლობითა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით, 2021 წლის 29-31 ივლისს, ქ. ბორჯომში, სტუდენტებისთვის გაიმართა პროექტის ,,გიორგი მარგიანის

სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე" ზეპირი რაუნდები. პროექტში მონაწილეობა მიიღო 6 უნივერსიტეტის 12 გუნდმა (სულ 35 მონაწილე).

ზეპირ რაუნდებამდე სტუდენტებს ჩაუტარდათ ტრენინგები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე. პროექტის მხარდამჭერები იყვნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს გენერალური პროკურატურა, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი.

ანალოგიური პროექტი განხორციელდა 2022 წელსაც. პროექტში დარეგისტრირებულ 21 გუნდს (74 მონაწილე) ჩაუტარდა ონლაინ ტრენინგები ტრეფიკინგის თემაზე. იმიტირებული პროცესის ზეპირი რაუნდები გაიმართა 2022 წლის 30 ივლისი - 1-ელი აგვისტოს, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თავისუფალი უნივერსიტეტისა, ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებმა (ჯამში 25 მონაწილე). პროექტი განხორციელდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, იუსტიციციის სასწავლო ცენტრისა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის ორგანიზებით და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის პარტნიორები იყვნენ საქართველოს პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო.

აქტივობა 1.1.7 ტრეფიკინგის რისკების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ შეხვედრების ჩატარება იძულებით გადაადგილებულ პირებთან, თავშესაფრის მაძიებლებთან, ეთნიკურ/ეროვნულ უმცირესობებთან

ინდიკატორი: მონაწილეთა რაოდენობა თითოეული სამიზნე ჯგუფისთვის მინ. 100

სტატუსი: მეტწილად შესრულდა

2021-2022 წლებში, კოვიდ-19 პანდემიის მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელების მიზეზით დაწესებული ფართომასშტაბიანი შეზღუდვების გამო სახელმწიფო უწყებები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას ჩაეტარებინათ საინფორმაციო კამპანია მოსახლეობასთან პირისპირ შეხვედრის ფორმატში. მიუხედავად ზემოხსენებულისა, საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ორგანიზებით ტრეფიკინგის რისკების შესახებ საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა:

- 2021 წლის 7 აპრილს, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერფერდში (საზღვრისპირა სოფელი). შეხვედრის შემდეგ დარიგდა საინფორმაციო ხასიათის ბროშურები (დაახლოებით 100 ერთეული);

- 2021 წლის 30 ივლისს, გამყოფი ხაზის სოფელ არბოში (გორის მუნიციპალიტეტი). შეხვედრის შემდეგ დარიგდა საინფორმაციო ხასიათის ბროშურები (35 ერთეული);

- 2021 წლის 8 ოქტომბერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რიყეში. შეხვედრის შემდეგ დარიგდა საინფორმაციო ხასიათის ბროშურები (30 ერთეული);

- 2021 წლის 22 ნოემბერს, ქარელის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის სოფელ დირბში. შეხვედრის შემდეგ დარიგდა საინფორმაციო ხასიათის ბროშურები (40 ერთეული);

- 2022 წლის 5 მაისს, გორის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის სოფელ ჯარიაშენში. შეხვედრის შემდეგ დარიგდა საინფორმაციო ხასიათის ბროშურები (50 ერთეული)

- 2022 წლის 14 ივნისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანაში. შეხვედრის შემდეგ დარიგდა საინფორმაციო ხასიათის ბროშურები (40 ერთეული);

- 2022 წლის 29 ივლისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის სოფელ შამგონაში. შეხვედრის შემდეგ დარიგდა საინფორმაციო ხასიათის ბროშურები (60 ერთეული);

- 2022 წლის 30 სექტემბერს კასპის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის სოფელ კოდისწყაროში. შეხვედრის შემდეგ დარიგდა საინფორმაციო ხასიათის ბროშურები (35 ერთეული);

- 2022 წლის 28 ოქტომბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის სოფელ ტყაიაში. შეხვედრის შემდეგ დარიგდა საინფორმაციო ხასიათის ბროშურები (40 ერთეული).

აქტივობა 1.1.8 იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის რისკების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ შეხვედრების ჩატარება კერძო სექტორში მომუშავე დამსაქმებელთა და დასაქმებულთათვის

ინდიკატორი: მონაწილეთა რაოდენობა (მინ. 200)

სტატუსი: სრულად შესრულდა

სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურმა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით, ჩაატარა ვებინარების სერია სახელწოდებით 'ბიზნესის და ადამიანის უფლებების შესახებ: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიდგომა და შრომის საერთშორისო სტანდარტები.' რიგით მე-3 ვებინარი შეეხებოდა იძულებით შრომას, რომელსაც კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენელი 30 მონაწილე დაესწრო.

სამსახური, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით, რეგულარულად ატარებდა დისტანციურ შეხვედრებს სხვადასხვა ბიზნეს ასოციაციების წევრ ორგანიზაციებთან, ასევე დასაქმებულთა წარმომადგენლებთან. შეხვედრების ფარგლებში განხილული იქნა ისეთი საკითხები, როგორებიცაა არსებულ კოვიდ რეგულაციები, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიდგომები და შრომის საერთაშორისო სტანდარტები. ასევე, იძულებით შრომასთან და შრომით ექსპლუატაციასთან დაკავშირებული საკითხები. მთელი ქვეყნის მასშტაბით საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრების ფორმატში განხორციელდა 180-მდე შეხვედრა 9 000-მდე წარმომადგენელთან.

2022 წელს შრომის ინსპექციის სამსახურის ორგანიზებით, ასევე პარტნიორი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მხარდაჭერით დამსაქმებლებისათვის რეგიონულ დონესა თუ სექტორულ ჭრილში შრომის თემატიკასთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიახლეების გაცნობის მიზნით, მთელი ქვეყნის მაშტაბით 35-მდე შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდა 1 700-მდე ბიზნესისა თუ დასაქმებულთა წარმომადგენელი. შეხვედრებისას შრომითი უფლებებისა თუ შრომითი უსაფრთხოების საკითხებთან ერთად

განხილული იქნა იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის ზედამხედველობასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე ბავშვთა შრომისა და არასრულწლოვანთა შრომის აკრძალვასთან დაკავშირებული საკნონმდებლო მოთხოვნები.

აქტივობა 1.1.9 ტრეფიკინგის რისკების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ შეხვედრების ჩატარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან

ინდიკატორი: მონაწილეთა რაოდენობა (მინ. 50)

სტატუსი: არ შესრულდა

2021-2022 წლებში, COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გამო აქტივობა არ განხორციელებულა.

აქტივობა 1.1.10 ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციისა და უწყებების მუშაობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ინფორმაციის მუდმივად განახლება ვებ-გვერდებზე

ინდიკატორი: განახლებული ინფორმაცია

სტატუსი: სრულად შესრულდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია დეტალური ინფორმაცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის, ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის, ეროვნული რეფერალური მექანიზმის, მუდმივმოქმედი ჯგუფის, სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების ანგარიშებისა და სტატისტიკური მონაცემებისშესახებ. ვებ-გვერდი მუდმივად განახლების პროცესშია.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე პერიოდულად საჯაროვდებოდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლისა და აღნიშნულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და პირის მსჯავრდების შესახებ ინფორმაცია.

ამასთან, საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდს დაემატა ,,ადამიანის უფლებების“ სპეციალური ტაბი, სადაც ასევე თემატურად განთავსდა დამოუკიდებელი ტაბი - „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“ და განთავსდა საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მიერ ტრეფიკინგის დანაშაულის თემაზე მომზადებული ანალიზები წლების მიხედვით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი რეგულარულად ახდენს საზოგადოების ინფორმირებას ტრეფიკინგის კუთხით განხორციელებული ღონისძიებებისა და ამ მიმართულებით, სამინისტროს მიერ მიღწეული შედეგების შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ საკომუნიკაციო არხებზე (შსს-ს ოფიციალური Facebook გვერდი და ვებ-გვერდი, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის Facebook გვერდი და Instagram-ის ანგარიში) ქვეყნდება შესაბამისი პრეს-რელიზები და ვიდეო მასალები და საინფორმაციო ბანერები. გარდა ამისა, 2019 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის ინიციტივით (Discovery-ის ოფიციალური ლიცენზიით) დაიწყო კრიმინალურ-დოკუმენტური სერიალის „პოლიციის ფაილების“ გადაღება, რომელიც მიზნად ისახავს პრობლემურ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და საზოგადოებაში პოლიციის მიმართ ნდობის გაზრდას.

ანგარიშგების პერიოდში განახლდა საზღვარგარეთ საქართველოს მისიების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე განთავსებული ინფორმაცია ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებით. საქართველოს მისიების სია ხელმისაწვდომია საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ტრეფიკინგის საკითხებზე ინფორმაციის ხილვა შესაძლებელია ვებ-გვერდების საკონსულო განყოფილებაში.

ზრუნვის სააგენტოს ფარგლებში ფუნქციონირებს ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ კანონმდებლობის, სააგენტოს სერვისებისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. სააგენტოს აქვს საკუთარი გვერდი სოციალურ ქსელში (facebook) სახელწოდებით 'სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო - State Care Agency,' სადაც აქტიურად განიხილება ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) დაკავშირებული საკითხი.

აქტივობა 1.1.11 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ოფიციალური facebook გვერდის შექმნა და ფუნქციონირება

ინდიკატორი: საბჭოს ოფიციალური facebook გვერდი; facebook გვერდზე დადებული ინფორმაციის რაოდენობა

სტატუსი: არ შესრულდა

საანგარიშო პერიოდში აქტივობა არ განხორციელებულა.

აქტივობა 1.1.12 იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ. გვერდსა და საბჭოს ოფიციალურ facebook გვერდზე ინფორმაციის განთავსება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპულის სასამართლოს გადაწყვეტილებების შესახებ

ინდიკატორი: იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ. გვერდსა და საბჭოს ოფიციალურ facebook გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია მინ. 5 საქმის შესახებ

სტატუსი: არ შესრულდა

საანგარიშო პერიოდში აქტივობა არ განხორციელებულა.

აქტივობა 1.1.13 ყოველწლიურად ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული და საერთაშორისო დღის აღნიშვნა (18 ოქტომბერი, 30 ივლისი)

ინდიკატორი: განხორციელებული ღონისძიება (4)

სტატუსი: სრულად შესრულდა

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) ორგანიზებით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან თანამშრომლობითა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით, 2021 და 2022 წლებში გაიმართა პროექტის ,,გიორგი მარგიანის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე" ზეპირი რაუნდები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა უნივერსიტეტის ჯამში 48 სტუდენტმა.

2022 წელს, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტომ, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ დღესთან დაკავშირებით, საქართველოს მასშტაბით, თბილისსა და რეგიონებში (ქ. ქუთაისი, ქ. გორი, ქ. ბათუმი, ქ. სიღნაღი, ქ. მარნეული, ქ. ოზურგეთი) ცნობიერების ამაღლების კუთხით გამართა 8 საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც დაესწრო 304 მოსწავლე და სტუდენტი.

აქტივობა 1.1.14 ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციის მიზნით მედიის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში,ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე

ინდიკატორი: მონაწილეთა რაოდენობა (მინ. 25); განხორციელებული ღონისძიება (მინ. 1)

სტატუსი: არ შესრულდა

2021-2022 წლებში, COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გამო აქტივობა არ განხორციელებულა.

ამოცანა 1.2 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული გამოვლენის მექანიზმების დახვეწა და ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება

სტატუსი: სრულად შესრულდა

2021-2022 წლებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ჯამში 35 სავარაუდო შემთხვევაე დაიწყო გამოძიება საიდანაც სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 9 საქმეზე, რაც საერთო საქმეების 26%-ს შეადგენს.

აქტივობა 1.2.1 იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევების გამოვლენის მიზნით სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომელთათვის

ინდიკატორი: სახელმძღვანელო დოკუმენტი

სტატუსი: სრულად შესრულდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სსიპ - შრომითი ინსპექციის სამსახურის მჭიდრო თანამშრომლობითა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ფინანსური მხარდაჭერით, შემუშავებული იქნა სახელმძღვანელო[1] შრომის ინსპექტორებისთვის და იძულებითი შრომისა და შრომითი ექპლუატაციის საკითხებზე. სახელმძღვანელოს მიზანია, დაეხმაროს შრომის ინსპექტორს, მოახდინოს ტრეფიკინგის დანაშაულის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმის - იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევების აღმოჩენაში. სახელმძღვანელო შედგენილია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებისა და რეკომენდაციების, ევროკავშირის რეგულაციებისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართული სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილების გათვალისწინებით.

აქტივობა 1.2.2 ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციის და გამოვლენის ხელშეწყობის მიზნით ფინანსური დაზვერვის სამსახურისათვის და ფინანსური საგამოძიებო სამსახურებისთვის სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება

ინდიკატორი: სახელმძღვანელო დოკუმენტი

სტატუსი: არ შესრულდა

საანგარიშო პერიოდში აქტივობა არ განხორციელებულა.

აქტივობა 1.2.3 სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოწმების მობილური ჯგუფებისა და სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) მიერ ტრეფიკინგის მიზნებისთვის მაღალ რისკს მიკუთვნებული ადგილების შემოწმება და დასაქმებულ პირთა გამოკითხვა ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით

ინდიკატორი: შემოწმებული დაწესებულებების რაოდენობა (მინ. 100); გამოკითხულ პირთა რაოდენობა (მინ. 300).

სტატუსი: სრულად შესრულდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს მობილური ჯგუფების მიერ 2021 წლის განმავლობაში განხორციელებული იქნა ტრეფიკინგის რისკშემცველი ადგილების გამოვლენა-აღრიცხა. COVID-19 პანდემიის პრევენციის მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილმა რეგულაციებმა, რაც გულისხმობდა როგორც ქვეყანაში, ისე ქვეყნის საზღვარზე გადაადგილების შეზღუდვას, ასევე, დაწესებულებების ფუნქციონირების შეჩერებას, გარკვეული ზეგავლენა იქონია შემოწმებული დაწესებულებების, გამოკითხული პირებისა და დაწყებული გამოძიებების რიცხობრივ მაჩვენებლზე.

საანგარიშო პერიოდში, მობილური ჯგუფების მიერ ჯამში გამოკითხული იქნა 462 მოქალაქე მათ მიმართ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის მიზნით. 2021 წელს, მობილური ჯგუფების მიერ შემოწმდა 114 დაწესებულება.

[1] ხელმისაწვდომია: https://justice.gov.ge/?m=articles&id=Mv4i7H2UKm

მობილური ჯგუფის წევრების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის მიზნით კონტროლირდება თბილისის საერთაშორისო აეროპორტის და სისტემატურად მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყნიდან დეპორტირებულ მოქალაქეებთან გასაუბრება. 2021 წელს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გამოკითხული იქნა სხვადასხვა ქვეყნიდან დეპორტირებული საქართველოს 848 მოქალაქე.

ამასთანავე, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტების პროქტიულად გამოვლენის მიზნით შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების სპეციალისტთა ჯგუფის (Task Force) მიერ 2021 წელს შემოწმდა 27 დაწესებულება და გამოკითხული იქნა 68 მოქალაქე, მათ მიმართ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის მიზნით. Task Force-ის მიერ, 2021 წელს, აგრეთვე შემოწმებული იქნა ქუჩაში მომუშავე რისკის შემცველი 16 ჯგუფი და განხორციელდა რისკჯგუფს მიკუთვნებული 40 მოქალაქის გამოკითხვა.

რაც შეეხება 2022 წლის საანგარიშო პერიოდს, 1-ლი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტების პროქტიულად გამოვლენის მიზნით შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების სპეციალისტთა ჯგუფის მიერ აჭარის რეგიონში შემოწმებული იქნა ტრეფიკინგის რისკშემცველი 52 დაწესებულება და განხორციელდა რისკჯგუფს მიკუთვნებული 115 მოქალაქის გამოკითხვა, მათ მიმართ შესაძლო განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტის გამოვლენის მიზნით. ქალაქ ბათუმში შემოწმებული იქნა ქუჩაში მომუშავე რისკის შემცველი 18 დაწესებულება და განხორციელდა რისკჯგუფს მიკუთვნებული 47 მოქალაქის გამოკითხვა მათ მიმართ შესაძლო განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტის გამოვლენის მიზნით.

2022 წლის განმავლობაში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოწმების მობილური ჯგუფების მიერ ტრეფიკინგის მიზნებისთვის შემოწმდა მაღალ რისკს მიკუთვნებული 40 ადგილი და ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით გამოიკითხა 452 პირი.

აქტივობა 1.2.4 ტრეფიკინგის მსხვერპლთა ჩვენების არარსებობისას გამოძიებების დაწყება პროაქტიულად

ინდიკატორი: დაწყებული გამოძიებების საერთო რაოდენობიდან პროაქტიულად დაწყებული გამოძიებების რაოდენობა

სტატუსი: სრულად შესრულდა

2021 წელს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) 19 სავარაუდო ფაქტიდან, პროაქტიულად გამოძიება დაიწყო ტრეფიკინგის 15 სავარაუდო ფაქტზე. ხოლო, 2022 წელს, დაწყებული გამოძიებების საერთო რაოდენობიდან (16) პროაქტიულად დაწყებული გამოძიებების რაოდენობა 15 იყო.

აქტივობა 1.2.5 შრომის ინსპექციის სამსახურსა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს შორის თანამშრომლობა შრომითი ექსპლუატაციის ნიშნების გამოვლენის, რეფერირებისა და დროული რეაგირების მიზნით

ინდიკატორი: შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ შემოწმებულ დაწესებულებათა რაოდენობა (მინ. 300); შრომის ინსპექციის სამსახურის მომართვის საფუძველზე შრომითი ექსპლუატაციის ფაქტებზე დაწყებული გამოძიებების რაოდენობა

სტატუსი: სრულად შესრულდა

2021 წელს სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურმა განახორციელდა 140 ობიექტის ინსპექტირება, საიდანაც გეგმიურად შემოწმდა 137 ობიექტი, ხოლო არაგეგმიურად 3 ობიექტი. 2021 წლის 30 ივნისს, ერთ-ერთ ობიექტზე განხორციელებული შემოწმების შედეგად გამოიკვეთა შრომითი ექსპლუატაციის შესაძლო ნიშნები. საქმე გადამისამართდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, სადაც აღნიშნულთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება.

რაც შეეხება 2022 წელს, სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურმა განახორციელდა 221 ობიექტის ინსპექტირება, საიდანაც გეგმიურად შემოწმდა 211 ობიექტი, ხოლო არაგეგმიურად კი - 10 ობიექტი. 2022 წლის 10 მარტს ერთ-ერთ ობიექტზე განხორციელებული შემოწმების შედეგად გამოიკვეთა იძულებითი შრომის ფაქტი. აღნიშნულზე შრომის ინსპექციის სამსახურის მხრიდან მოხდა მყისიერი რეაგირება და კომპანია დაჯარიმდა შრომის კოდექსის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისთვის 10 000 ლარის ოდენობის ჯარიმით. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, შრომის ინსპექციის წერილის საფუძველზე, 2022 წელს შემოწმებული იქნა ქვემო ქართლში არსებული მეტალის საწარმო, სადაც გამოკითხული იქნა 60 თანამშრომელი, შესაძლო ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით. გამოკითხვის შედეგად ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) ფაქტები არ გამოვლენილა.

აქტივობა 1.2.6 ყოველწლიურად ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ახალი ტენდენციების, ასევე მსხვერპლთა/დაზარალებულთა და დამნაშავეთა პროფილის შესწავლა და შეფასება არსებული საქმეების საფუძველზე

ინდიკატორი: ჩატარებული ანალიზის დოკუმენტი (2)

სტატუსი: სრულად შესრულდა

საანგარიშო პერიოდში საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის პროკურორები ყოველდღიურად ახორციელებდნენ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეების მონიტორინგს. დეპარტამენტის მიერ მომზადებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) 2020-2021 და 2022 წლების სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზის საფუძველზე, გამოიკვეთა სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პირების ტრეფიკინგის ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა ექსპლუატაციის ფორმები, დანაშაულის ტერიტორიული განფენილობა, ბრალდებულთა და დაზარალებულთა პერსონალური მახასიათებლები. სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორებიცაა სისხლის სამართალწარმოების გამოწვევები, ტენდენციები და სამომავლო გეგმები. აღნიშნული ანალიზების შედეგები, ქართულ[2] და ინგლისურ[3] ენებზე

[2] ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/uploads/e89cf165-trefikingi-2020-2021-GEO.pdf
https://pog.gov.ge/uploads/3e69f388-trefikingis-sisxlis-samarTlis-saqmeTa-analizi-2022-GEO.pdf

[3] ხელმისაწვდომია: https://pog.gov.ge/uploads/45b2ff65-TRAFFICKING-IN-HUMAN-BEINGS-2020-2021-Eng.pdf
https://pog.gov.ge/uploads/c32ed78e-ANALYSIS-OF-HUMAN-TRAFFICKING-CASES-2022-ENG.pdf

გასაჯაროვდა საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

2021 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 5 საქმეზე 7 პირის მიმართ:

- 2 საქართველოს მოქალაქე კაცის მიმართ - 3 სრულწლოვანი პირის მიმართ განხორციელებული შრომითი ექსპლუატაციის ფაქტზე (სამცხე-ჯავახეთი);

- 2 საქართველოს მოქალაქე კაცის მიმართ - სრულწლოვანი პირის მიმართ განხორციელებული შრომითი ექსპლუატაციის ფაქტზე (კახეთი);

- 1 საქართველოს მოქალაქე კაცის მიმართ - სრულწლოვანი პირის მიმართ განხორციელებული შრომითი ექსპლუატაციის (მათხოვრობაში ჩაბმა) ფაქტზე(თბილისი);

- 1 საქართველოს მოქალაქე კაცის მიმართ არასრულწლოვნის მათხოვრობაში ჩართვის გზით ექსპლუატაციის ფაქტზე (თბილისი);

- 1 საქართველოს მოქალაქე კაცის მიმართ 2 არასრულწლოვნის მათხოვრობაში ჩართვის გზით ექსპლუატაციის ფაქტზე (თბილისი);

2021 წელს გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 4 საქმეზე 5 პირის მიმართ:

- 2 საქართველოს მოქალაქე კაცის მიმართ - სრულწლოვანი პირების მიმართ განხორციელებული შრომითი ექსპლუატაციის ფაქტზე (სამცხე-ჯავახეთი);

- 1 მსჯავრდებულს მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 20 000 ლარის ოდენობით, ხოლო მეორე მსჯავრდებულს - 5 წელი და 6 თვე და ჯარიმა 20000 ლარის ოდენობით;

- 1 საქართველოს მოქალაქე კაცის მიმართ - 2 არასრულწლოვანი პირის მათხოვრობაში ჩართვის გზით ექსპლუატაციის ფაქტზე (თბილისი); მსჯავრდებულს მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა;

- 1 საქართველოს მოქალაქე კაცის მიმართ - სრულწლოვანი პირის მიმართ განხორციელებული შრომითი ექსპლუატაციის (მათხოვრობაში ჩაბმა) ფაქტზე (თბილისი); მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

- 1 საქართველოს მოქალაქე კაცის მიმართ არასრულწლოვნის მათხოვრობაში ჩართვის გზით ექსპლუატაციის ფაქტზე (თბილისი); მიესაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2021 წელს ტრეფიკინგის დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა 8 პირს 5 საქმეში:

- 12 წლის საქართველოს მოქალაქე ბიჭს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი მის მიმართ განხორციელებული შრომითი ექსპლუატაციის ფაქტზე (მათხოვრობაში ჩაბმა);

- სომხეთის მოქალაქე 2 კაცს (19 და 52 წლის) და 25 წლის ქალს მიენიჭათ დაზარალებულის სტატუსი მათ მიმართ განხორციელებული შრომითი ექსპლუატაციის ფაქტზე;

- რუსეთის მოქალაქე 31 წლის კაცს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი მის მიმართ განხორციელებული შრომითი ექსპლუატაციის ფაქტზე;

- საქართველოს მოქალაქე 44 წლის კაცს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი მის მიმართ განხორციელებული შრომითი ექსპლუატაციის (მათხოვრობაში ჩაბმა) ფაქტზე;

- საქართველოს მოქალაქე 11 წლის ბიჭს და 13 წლის გოგოს მიენიჭათ დაზარალებულის სტატუსი მათ მიმართ განხორციელებული შრომითი ექსპლუატაციის (მათხოვრობაში ჩაბმა) ფაქტზე.

2022 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4 საქმეზე 5 პირის მიმართ:

- აზერბაიჯანის მოქალაქე კაცის მიმართ - სრულწლოვანი პირის მიმართ განხორციელებული უკანონო გარიგების ფაქტზე (ქ. თბილისი);

- აზერბაიჯანის მოქალაქე კაცის მიმართ - სრულწლოვანი პირის მიმართ განხორციელებული უკანონო გარიგების ფაქტზე (ქ. თბილისი);

- აზერბაიჯანის მოქალაქე 2 კაცის მიმართ - სრულწლოვანი პირის ყიდვა/გაყიდვის ფაქტზე (ქ. თბილისი);

- საქართველოს მოქალაქე ქალის მიმართ - არასრულწლოვანის უკანონო საქმიანობაში ჩართვის ფაქტზე (ქ. თბილისი).

2022 წელს გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 2 საქმეზე 2 პირის მიმართ:

- აზერბაიჯანის მოქალაქე კაცის მიმართ - სრულწლოვანი პირის მიმართ განხორციელებული უკანონო გარიგების ფაქტზე (ქ. თბილისი). მსჯავრდებულს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით;

- აზერბაიჯანის მოქალაქე კაცის მიმართ - სრულწლოვანი პირის მიმართ განხორციელებული უკანონო გარიგების ფაქტზე (ქ. თბილისი). მსჯავრდებულს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 6 თვის ვადით

2022 წელს ტრეფიკინგის დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა 3 პირს 4 საქმეში:

- 21 წლის აზერბაიჯანის მოქალაქე კაცს მის მიმართ განხორციელებული უკანონო გარიგების ფაქტზე;

- 41 წლის აზერბაიჯანის მოქალაქე კაცს მის მიმართ განხორციელებული ყიდვა/გაყიდვის ფაქტზე;

- 12 წლის საქართველოს მოქალაქე გოგონას მის მიმართ განხორციელებული დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართვის ფაქტზე.

აქტივობა 1.2.7 ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციის გამოვლენის მიზნით საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება შემდგომი დახვეწის მიზნით

ინდიკატორი: განხორციელებული ანალიზი

სტატუსი: არ შესრულდა

საანგარიშო პერიოდში აქტივობა არ განხორციელებულა.

აქტივობა 1.2.8 პროკურორებისა და სტაჟიორ-პროკურორების გადამზადება და ახალი ტენდენციების გაცნობა ადამიანით ვაჭრობის საკითხებზე, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში

ინდიკატორი: გადამზადებული პროკურორებისა და სტაჟიორ-პროკურორების რაოდენობა (30); ტრენინგის რაოდენობა (3)

სტატუსი: სრულად შესრულდა

2021 წელს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეების გამოძიების დახვეწის მიზნით განხორციელდა 7 სასწავლო აქტივობა, მათ შორის 1 სასწავლო ვიზიტი, რომელთა ფარგლებშიც ჯამში 24 პროკურორი გადამზადდა:

- 2021 წლის 27-28 აპრილს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო/OSCE) ორგანიზებით ჩატარდა ონლაინ შეხვედრა, რომელიც შეეხებოდა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელებულ ტრეფიკინგს, სადაც ძირითადი აქცენტი იქნა გაკეთებული ამ მხრივ ცენტრალურ აზიის სახელმწიფოებში არსებულ მდგომარეობაზე. აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს გენერალური პროკურატურის 1 წარმომადგენელი;

- 2021 წლის 28 მაისს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ყაზახეთის ოფისის ინიციატივით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსხვერპლთა დაცვის საკითხებზე. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო ერთმა პროკურორმა;

- 2021 წლის 3, 4 და 17 ივნისს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში კიბერდანაშაულთან ბრძოლისა და კიბერ-გამძლეობის საკითხებზე ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, შეხვედრები ჩატარდა ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 4-მა პროკურორმა.

- 2021 წლის 26-27 ივლისს, იუსტიციის სამინისტროს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროსა (INL) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით, ქ.

თბილისში გამომძიებლებისა და პროკურორებისთვის გაიმართა ტრენინგი თემაზე: ტექნოლოგიების გამოყენება სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის ოპტიმიზაციის მიზნით. ტრენინგი ჩაატარა ნიდერლანდელმა ექსპერტმა და ფოკუსირებული იყო ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საქართველოს ონლაინ სექს ბაზრები, დაზვერვის შედეგად მიღებული ინფორმაციის შეგროვება ონლაინ სივრცეში, საგამოძიებო ტექნიკის გამოყენება მხარდაჭერილი ტექნოლოგიებით და საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან თანამშრომლობა. შეხვედრის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ თანამედროვე ტექნოლოგიების, პროგრამებისა და აპლიკაციების გამოყენებას ინტერნეტში სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ, უცხო ქვეყნების საქმიანობის სპეციფიკას და უახლეს ტენდენციებს. სწავლებაში მონაწილეობა მიიღო 10-მა პროკურორმა;

- 2021 წლის 27 სექტემბრიდან - 1 ოქტომბრის პერიოდში, ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე სიმულაციური ტრენინგი ჩატარდა, რომელიც მიმართული იყო აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში უწყებათაშორისი თანამშრომლობის მნიშვნელობის გამოკვეთაზე. სიმულაციურ ტრენინგში მონაწილეობდნენ პროკურორები, კრიმინალური პოლიციის და ფინანსური დანაშაულების საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლები, ტრეფიკინგის მსხვერპლების მხარდამჭერი უწყებების წარმომადგენლები (ადვოკატები, სოციალური მუშაკები და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები) შემდეგი ქვეყნებიდან: საქართველო, ავსტრია, გერმანია, დანია, ესპანეთი და კანადა. სწავლება ეუთოს მხარდაჭერით განხორციელდა იტალიაში და მასში მონაწილეობას იღებდა ერთი პროკურორი;

- 2021 წლის 29-30 ნოემბერს, იუსტიციის სამინისტროს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროსა (INL) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით, ბავშვთა ექსპლუატაციის ფსიქოლოგიური ასპექტებისა და ეფექტური კომუნიკაციის თემაზე ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგის ფარგლებში მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ განევითარებინათ ის პროფესიული და პიროვნული უნარები, რომელიც ეხმარებათ ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვებთან მუშაობის დროს. სწავლება ერთობლივი ფორმატის იყო და სამიზნე ჯგუფს პროკურორები, შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლები, ასევე ორივე უწყების მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები წარმოადგენდნენ. ტრენინგში მონაწილეობა პროკურატურის 7-მა წარმომადგენლემა მიიღო, მათ შორის სამმა მოწმისა და დაზარალებული კოორდინატორმა.

2022 წელს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე პროკურორებისა და სტაჟიორ-პროკურორების გადამზადების მიზნით გაიმართა 9 სასწავლო აქტივობა, მათ შორის ორი საერთაშორისო სასწავლო ვიზიტი განხორციელდა. განხორციელებული აქტივობების ფარგლებში 21 პროკურორი და 37 სტაჟიორი (სტაჟიორ-პროკურორი, სტაჟიორ-გამომძიებელი), ჯამში 58 პირი გადამზადდა. კერძოდ:

- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ პროკურორების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ნარკოტრეფიკინგის გამოძიების საკითხებზე ონლაინ ვებინარი განხორციელდა. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის "TOPCOP" ფარგლებში განხორციელებული ონლაინ ვებინარის ფარგლებში, რომელსაც ევროპოლისა და ევროკავშირის სამართლებრივი თანამშრომლობის სააგენტოს (Eurojust) ექსპერტები უძღვებოდნენ, მონაწილეემა კვალიფიკაცია შემდეგი თემების შესახებ აიმაღლეს: დამნაშავეთა დაკითხვის მეთოდები; ადამიანის ფუნდამენტური უფლებები ნარკოტრეფიკინგის კონტექსტში; საერთაშორისო თანამშრომლობა სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის და სხვ. აღნიშნულ ვებინარში 1 პროკურორი მონაწილეობდა;

- გარდა ზემოაღნიშნული სამუშაო შეხვედრებისა, 2022 წელს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე კვალიფიკაციის ამაღლების და უწყებათაშორისი კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, სიმულაციური სწავლება გაიმართა, რომელშიც შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები იყვნენ ჩართულნი. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა: მრავალუწყებრივი თანამშრომლობის შენარჩუნება ეროვნული სიმულაციური სწავლების მეშვეობით - მოცემული სასწავლო ღონისძიება საქართველოში იუსტიციის სამინისტროს ორგანიზებით, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისა და საქართველოში შვეიცარიის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. ეროვნული სიმულაციური ტრენინგი მიზნად ისახავდა ტრეფიკინგის დანაშაულზე მომუშავე 40-მდე პროფესიონალის - გამომძიებლის, პროკურორის, შრომის ინსპექტორის, ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის და მსხვერპლებთან მომუშავე პერსონალის პრაქტიკული უნარ-ჩვევების ამაღლებას უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის გზით, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს დანაშაულის დროულ გამოვლენას, ეფექტიან გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნას და მსხვერპლთა საზოგადოებაში ეფექტიან ინტეგრაციას. აღნიშნულ სიმულაციურ ტრენინგში საქართველოს პროკურატურის 5 წარმომადგენელი (მენეჯერი, პროკურორი) მონაწილეობდა.

საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული სასწავლო აქტივობებიდან, პროკურორებმა კვალიფიკაცია ბავშვთა ექსპლუატაციის საკითხების შესახებაც აიმაღლეს. 2022 წელს აღნიშნულ თემაზე პროკურორთა გადამზადების მიზნით, სამი სასწავლო აქტივობა განხორციელდა.

- მათ შორის, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ტრენინგი - ბავშვთა ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლა - სამართალდამცავი ორგანოების პერსპექტივა, რომლის ფარგლებში მონაწილეებმა კვალიფიკაცია შემდეგი თემების შესახებ აიმაღლეს: ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) - ბავშვთა ტრეფიკინგი საქართველოში: ზოგადი და სამართლებრივი ჩარჩო; მოლდოვას გამოცდილება - ბავშვთა ექსპლუატაციის ზოგადი და სპეციფიკური ასპექტები; მსხვერპლი ბავშვის იდენტიფიცირება; ბავშვთა ექსპლუატაცია ინტერნეტში; ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის ონლაინ შემთხვევების გამოძიების პრაქტიკა; ქუჩაში მცხოვრები და

მომუშავე ბავშვების შესახებ საქართველოს და მოლდოვას გამოცდილებები. ტრენინგი იუსტიციის სამინისტროს ორგანიზებით, აშშ-ის საელჩოს ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროსა (INL) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით განხორციელდა. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს გენერალური პროკურატურისა და ტერიტორიული ორგანოების პროკურორებმა. ჯამში ტრენინგს საქართველოს პროკურატურის 7 წარმომადგენელი ესწრებოდა;

– ამასთანავე, 2022 წელს ქალაქ ბათუმსა და თბილისში განხორციელდა 2 ტრენინგი თემაზე „სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლ ბავშვთან მუშაობა - არასრულწლოვანთა გამოკითხვა“. ტრენინგის განმავლობაში ექსპლუატაციის შემთხვევების გამოძიების ზოგადი მიმოხილვის გარდა, მონაწილეებმა გადამზადება გაიარეს ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა: მსხვერპლ ბავშვებთან მუშაობის საუკეთესო პრაქტიკა, კომერციული მიზნით ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლთან გასაუბრება, ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ამსახველ მასალებთან დაკავშირებული გასაუბრება, გამოწვევები მსხვერპლთან გასაუბრების პროცესში. გარდა თეორიული ნაწილისა, ტრენინგის ფარგლებში მონაწილეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა თემატურ პრაქტიკულ სავარჯიშოებში. აღნიშნულ ტრენინგში საქართველოს პროკურატურის შესაბამისი დანაყოფისა და ტერიტორიული ორგანოს 6 წარმომადგენელი მონაწილეობდა (მენეჯერი, პროკურორი).

გარდა ზემოაღნიშნული აქტივობებისა, საანგარიშო პერიოდში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე პროკურორთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ორი საერთაშორისო სასწავლო ვიზიტი განხორციელდა.

– 2022 წელს, იუსტიციის სამინისტროს ორგანიზებით, აშშ-ის საელჩოს ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით, უზბეკეთის დედაქალაქში, ტაშკენტში განხორციელდა ქართველი დელეგაციის ვიზიტი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე. ვიზიტის მიზანი იყო ორ მხარეს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და გამოწვევებსა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე ერთობლივი მსჯელობა. აღნიშნულ სასწავლო ვიზიტში საქართველოს პროკურატურის 3 წარმომადგენელი მონაწილეობდა (მენეჯერი, პროკურორი);

– გარდა ამისა, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სასწავლო და ოპერატიული პარტნიორობა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ (TOPCOP)” - ის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, რუმინეთის დედაქალაქში, ბუქარესტში განხორციელდა ტრენინგი თემაზე „ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) - გამომწვევი მიზეზები და კრიმინალიზაცია, დოკუმენტების გაყალბება, მსხვერპლის იდენტიფიკაცია, დაცვა და დახმარება“. ვიზიტის მიზანი იყო მონაწილეთა კვალიფიკაციის ამაღლება და მხარეთა შორის თანამშრომლობის გაღრმავება ადამიანით ვაჭრობის მიმართულებით არსებული გამოწვევების და ტრენდების,

ადამიანებით ვაჭრობის მიზეზების, ტრეფიკინგის მსხვერპლისა და დამნაშავის პროფილირების კრიმინალების მიერ მსხვერპლის რეკრუტირების გზების შესახებ. ტრენინგში საქართველოს გენერალური პროკურატურიდან 1 პროკურორი მონაწილეობდა.

საქართველოს პროკურატურაში დანერგილია სტაჟიორთა მოსამზადებელი პროგრამა. აღნიშნული კურსის ნაწილია ადამიანის უფლებების მოდული, რომელიც ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლის საკითხებს მოიცავს. 2022 წელს სტაჟიორთა მოსამზადებელი კურსის ფარგლებში, ადამიანით ვაჭრობის საკითხების შესახებ გადამზადება სტაჟიორ-პროკურორთა და სტაჟიორ-გამომძიებლების 2-მა ჯგუფმა, ჯამში 37-მა მონაწილემ გაიარა.

აქტივობა 1.2.9 მოწმეთა და დაზარალებულთა კოორდინატორების გადამზადება ტრეფიკინგის საკითხებზე, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში

ინდიკატორი: გადამზადებული კოორდინატორების რაოდენობა (მინ. 15); ტრენინგის რაოდენობა (მინ. 1)

სტატუსი: მეტწილად შესრულდა

2021-2022 წლებში ტრეფიკინგის საქმეებზე სისხლის სამართალწარმოებაში ეფექტიანად ჩართვის მიზნით გადამზადება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს გენერალური პროკურატურის მოწმეთა და დაზარალებულთა 14-მა კოორდინატორმა. კერძოდ:

- 2021 წლის 10-11 ივნისს, იუსტიციის სამინისტროს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) თანამშრომლობით, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისთვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა ფსიქოსოციალური მხარდაჭერისა და ფსიქოლოგიური კონსულტაციის თემაზე ჩატარებულ ტრენინგში მონაწილეობა მიიღო შსს-სა და პროკურატურის 11-მა მოწმეთა და დაზარალებულთა კოორდინატორმა;

- 2021 წლის 29-30 ნოემბერს, იუსტიციის სამინისტროს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროსა (INL) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით, ბავშვთა ექსპლუატაციის ფსიქოლოგიური ასპექტებისა და ეფექტური კომუნიკაციის თემაზე ჩატარებული ტრენინგის ფარგლებში გადამზადება გაიარა პროკურატურის მოწმეთა და დაზარალებულთა 3-მა კოორდინატორმა.

აქტივობა 1.2.10 სასაზღვრო გამტარ პუნქტებში მომუშავე პერსონალის გადამზადება მსხვერპლთა/პოტენციურ მსხვერპლთა და დამნაშავეთა გამოვლენის მიზნით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში

ინდიკატორი: გადამზადებული პერსონალის რაოდენობა (მინ.15); ტრენინგის რაოდენობა (მინ. 1)

სტატუსი: სრულად შესრულდა

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში რეგულარულად მიმდინარეობს პატრულ-ინსპექტორ მესაზღვრე-კონტროლიორების მომზადება/გადამზადება სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განხორციელებისას ტრეფიკინგის მსხვერპლთა/პოტენციურ მსხვერპლთა და დამნაშავეთა გამოვლენის საკითხებზე. 2021 წლის მეორე ნახევარში მომზადდა მესაზღვრე-კონტროლიორის კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო კურსი, რომელსაც 2 ჯგუფად განხორციელებული სწავლების ფარგლებში 42 მსმენელი ჰყავდა.

2022 წლის 6-8 დეკემბერს, თბილისში, იუსტიციის სამინისტროს მიერ ორგანიზებული, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - საზღვრისა და მიგრაციის მართვის ქმედება საქართველოსთვის (BMMAG) ფარგლებში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ორგანიზებით, საზღვარზე მომუშავე თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი ტრეფიკინგის თემაზე. ტრენინგის თემატიკა მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობისა და ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების მიმოხილვა; დეფინიციები, ევროკავშირის და საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო ტრეფიკინგის შესახებ; მესაზღვრეების როლი ტრეფიკინგის მსხვერპლთა ადრეულ იდენტიფიკაციასა და რეფერირებაში და ა.შ. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის და სასაზღვრო პოლიციის 14-მა თანამშრომელმა.

აქტივობა 1.2.11 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის გამომძიებლების, საპატრულო პოლიციის თანამშრომლების, რაიონული განყოფილების თანამშრომლების გადამზადება და მათთვის ახალი ტენდენციების გაცნობა ტრეფიკინგის საქმეების გამოძიებისა და მსხვერპლთან/დაზარალებულთან მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში

ინდიკატორი: გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა (მინ. 50); ტრენინგების რაოდენობა (3)

სტატუსი: სრულად შესრულდა

საანგარიშო პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ტრანსნაციონალური დანაშულის მათ შორის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) თემატიკაზე გამართულ შემდეგ ტრენინგებში:

- 2021 წლის 29 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის, საქართველოში აშშ-ის საელჩოს რეგიონული უსაფრთხოების ოფისის მხარდაჭერით, ქუთაისის დავით აღმაშენებელის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში, ტრეფიკინგისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე 'BASIC COUNTER TERRORISM AND ANTIHUMAN TRAFFICKING' ჩატარდა

ტრენინგი და მასში მონაწილეობა მიიღო შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 62 თანამშრომელმა;

–

– ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროსა (INL) და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ გაერთიანებული ქმედება (IACTA)“ ფარგლებში, ონლაინ ტრეფიკინგის თემაზე, 2021 წლის 26-27 ივლისს, ტრენინგი ჩაუტარდათ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალური პროკურატორის თანამშრომლებს. გადამზადდა შს სამინისტროს 10 თანამშრომელი;

– ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) ორგანიზებით, 2021 წლის 27 სექტემბერი - 1 ოქტომბერის პერიოდში, იტალიაში, ქ. ვიჩენცაში გაიმართა სიმულაციური სახის ღონისძიება ტრეფიკინგის თემაზე. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის 2 თანამშრომელი;

– მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ორგანიზებით, ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროსა (INL) და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ გაერთიანებული ქმედება (IACTA)“ ფარგლებში, 2021 წლის 29-30 ნოემბერს ჩატარდა ტრენინგი ,,ბავშვთა ექსპლუატაციის ფსიქოლოგიური ასპექტები“ თემაზე. გადამზადდა შს სამინისტროს 13 თანამშრომელი;

– 2021 წლის 5 ოქტომბერს, თემაზე ,,AI FOR SAFER CHILDREN“, თბილისში, ჩატარდა ვებინარი, რომლის ორგანიზატორიც იყო UNICRI. ვებინარს დაესწრო შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ერთი თანამშრომელი;

– 2021 წლის 22 ნოემბრიდან 03 დეკემბრამდე, ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაცის თემაზე, ინტერპოლის ორგანიზებით, კასერტაში ჩატარდა ონლაინ ვებინარი, ვებინარს დაესწრო შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს 1 თანამშრომელი;

– 2022 წლის 21-23 ივლისს, კაჭრეთში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა ტრეფიკინგის თაობაზე. შეხვედრაზე განხილულ იქნა ტრეფიკინგის დანაშაული და მასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტისა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის 5 თანამშრომელი;

- 2022 წლის 12-16 სექტემბერს, ბუქარესტში, "სასწავლო და ოპერატიული პარტნიორობა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ TOPCOP-ის ორგანიზებით, გაიმართა სასწავლო ვიზიტი ადამიანებით ვაჭრობა - ძირეული მიზეზები, კრიმინალიზაცია და დოკუმენტებით თაღლითობის თემაზე, სასწავლო ვიზიტის ფარგლებში განხილულ იქნა ადამიანებით ვაჭრობა - ძირეული მიზეზები, კრიმინალიზაცია და დოკუმენტებით თაღლითობა. მსხვერპლთა იდენტიფიცირება, დახმარება და დაცვის მექანიზმები. სასწავლო ვიზიტში მონაწილეობდა საერთაშორისო ურთიერობების დეპარტამენტის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, შსს აკადემიის, აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის და ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის 5 თანამშრომელი;

- 2022 წლის 7-11 ნოემბერს გამართულ ეროვნულ სიმუალციურ ტრენინგში მონაწილეობდა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტის, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, კახეთის პოლიციის დეპარტამენტის, ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტისა და მიგრაციის დეპარტამენტის 20 თანამშრომელი;

- 2022 წლის 5 მარტიდან 31 მარტის ჩათვლით ეგვიპტეში, ქ. ქაირო, ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული განვითარების საპარტნიორო სააგენტოს (EAPD) ორგანიზებით ჩატარდა სწავლება თემაზე - "Counter Human Trafficking and Illegal Immigration and National Borders and Ports Security". სასწავლო ვიზიტში მონაწილეობდა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, სასაზღვრო პოლიციის 5 თანამშრომელი;

- 2022 წლის 6-10 ივნისს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - "სასწავლო და ოპერატიული პარტნიორობა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ TOPCOP" ფარგლებში, უნგრეთში, ბუდაპეშტში გაიმართა სასწავლო ვიზიტი თემაზე "ადამიანებით უკანონო ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და უკანონო მიგრაცია". სასწავლო ვიზიტში მონაწილეობა მიიღო შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ერთმა თანამშრომელმა;

- 2022 წლის 27 ივნისიდან - 2 ივლისამდე, საფრანგეთში, ქ. პარიზში, საფრანგეთის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის არსებული თანამშრომლობის ფარგლებში შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ორი თანამშრომელმა გაიარა სტაჟირება თემაზე ,,OCRIEST - ბრძოლა არალეგალური საიმიგრაციო ქსელების წინააღმდეგ";

- 2022 წლის 5 სექტემბერს, TOPCOP-ის ფარგლებში, მიგრანტთა უკანონო გადაყვანისა და ონლაინ გამოძიების თემაზე, გამართულ ვებინარს დაესწრო შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ერთი თანამშრომელი;

- 2022 წლის 16 სექტემბერი, TOPCOP-ის ფარგლებში, მიგრანტთა უკანონო გადაყვანისა და ონლაინ გამოძიების თემაზე ჩატარებულ ვებინარს, დაესწრო შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ერთი თანამშრომელი;

- 2022 წლის 14-18 ნოემბერს, ქ. თბილისში, აშშ საელჩოს ორგანიზებით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე, ტრეფიკინგი და არალეგალური მიგრაცია, ტრენინგს დაესწრო შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ერთი თანამშრომელი;

- 2022 წლის 22 ნოემბერს, ქ. თბილისში, ონლაინ ფორმატში, IOM-ის ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი, თემაზე არალეგალური მიგრაცია, ტრენინგს ესწრებოდა შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ერთი თანამშრომელი;

- 2022 წლის 12-19 დეკემბერს, ქ. თბილისში, აშშ საელჩოს ორგანიზებით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე ტრეფიკინგი და არალეგალური მიგრაცია, ტრენინგს ესწრებოდა შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ერთი თანამშრომელი.

აქტივობა 1.2.12 შინაგან საქმეთა სამინისტროს მართლწესრიგის ოფიცრების გადამზადება ტრეფიკინგის საკითხებზე, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში

ინდიკატორი: გადამზადებული ოფიცრების რაოდენობა (50); ტრენინგების რაოდენობა (მინ.1)

სტატუსი: არ შესრულდა

2021-2022 წლებში, COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გამო აქტივობა არ განხორციელებულა.

აქტივობა 1.2.13 სპეციალისტების ჯგუფის წევრების (Task Force) გადამზადება ტრეფიკინგის თემაზე და მათთვის ახალი ტენდენციების გაცნობა სავარაუდო მსხვერპლთა/დაზარალებულთა გამოვლენასა და მათთან მოპყრობასთან დაკავშირებით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში

ინდიკატორი: გადამზადებული წევრების რაოდენობა (7); ტრენინგების რაოდენობა (2).

სტატუსი: სრულად შესრულდა

1.2.8. აქტივობაში მითითებულ სამუშაო შეხვედრაში, რომელიც განხორციელდა 2021 წლის 28 მაისს და შეეხებოდა ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსხვერპლთა დაცვის საკითხებს, მონაწილეობა მიიღო სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) ერთმა წევრმა პროკურორმა.

2021 წლის 3-4 ივნისს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში კიბერდანაშაულთან ბრძოლისა და კიბერ-გამძლეობის საკითხებზე ევროპის საბჭოს და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის ფარგლებში შეხვედრა ჩატარდა ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, რომელშიც მონაწილეობდა 3 პროკურორი, მათ შორის სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) ერთი წევრი.

1.2.8 აქტივობაში მითითებულ ტრენინგში, რომელიც განხორციელდა 2021 წლის 26-27 ივლისს, თემაზე "ტექნოლოგიების გამოყენება სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის ოპტიმიზაციის მიზნით", მონაწილეობა მიიღო სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) 4-მა წევრმა.

1.2.8 აქტივობაში მითითებულ ტრენინგში, რომელიც განხორციელდა 2021 წლის 29-30 ნოემბერს, თემაზე "ბავშვთა ექსპლუატაციის ფსიქოლოგიური ასპექტები და ეფექტური კომუნიკაცია" მონაწილეობა მიიღო სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) 3-მა წევრმა.

2022 წლის 2-3 მაისს, ტრეფიკინგისა და ბავშვთა ექსპლუატაციის თემაზე, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ორგანიზებით, ქ. თბილისში ჩატარდა ტრენინგი, ტრენინგზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: ბავშვთა ექსპლუატაციის ზოგადი და სპეციფიკური ასპექტები; მსხვერპლი ბავშვების იდენტიფიცირება; ბავშვთა ექსპლუატაცია ონლიან-სივრცეში, სამართალდამცავი ორგანოების როლი ბავშვთა დაცვის კუთხით და ა.შ. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) 5-მა წევრმა.

1.2.8 აქტივობაში მითითებულ ღონისძიებაში, რომელიც განხორციელდა 2022 წლის 21-23 ივლისს, კაჭრეთში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით და ეძღვნებოდა ტრეფიკინგის დანაშაულისა და მასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების განხილვას, მონაწილეობა მიიღო სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) 2-მა წევრმა

2022 წლის 7-11 ნოემბერს, შსს აკადემიაში განხორციელებულ ეროვნულ სიმულაციურ ტრენინგში მონაწილეობა მიიღო სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) 5-მა წევრმა.

აქტივობა 1.2.14 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომელთა გადამზადება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში

ინდიკატორი: გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა (მინ.20); ტრენინგის რაოდენობა (მინ.1)

სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა

2022 წლის 7-11 ნოემბერს, შსს აკადემიაში განხორციელებულ ეროვნულ სიმულაციურ ტრენინგში მონაწილეობა მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის 6-მა თანამშრომელმა.

აქტივობა 1.2.15 შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში

ინდიკატორი: გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა (მინ. 10); ტრენინგის რაოდენობა (მინ.1)

სტატუსი: სრულად შესრულდა

2022 წლის 6-8 დეკემბერს, თბილისში, იუსტიციის სამინისტროს მიერ ორგანიზებით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - საზღვრისა და მიგრაციის მართვის ქმედება საქართველოსთვის (BMMAG) ფარგლებში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით, შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელთათვის ჩატარდა ტრენინგი ტრეფიკინგის თემაზე. ტრენინგის თემატიკა მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობისა და ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების მიმოხილვა; დეფინიციები, ევროკავშირის და საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო ტრეფიკინგის შესახებ; მესაზღვრეების როლი ტრეფიკინგის მსხვერპლთა ადრეულ იდენტიფიკაციასა და რეფერირებაში და ა.შ. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო შემოსავლების სამსახურის 10-მა თანამშრომელმა.

აქტივობა 1.2.16 შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომელთა გადამზადება სავარაუდო მსხვერპლთა/დაზარალებულთა გამოვლენასა და მათთან მოპყრობასთან დაკავშირებით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში

ინდიკატორი: გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა (100); ტრენინგის რაოდენობა (მინ.2)

სტატუსი: მეტწილად შესულდა

2020 წლის 29 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, 2021 წლის 1 იანვრიდან, სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სახელმწიფო უწყებად. აღნიშნულთან დაკავშირებით, დამტკიცებულ იქნა სამსახურის დებულება და ახალი სტრუქტურა, რომლის თანახმად შრომით უფლებებზე ზედამხედველობის დეპარტამენტში შეიქმნა იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის (ტრეფიკინგის) ზედამხედველობის განყოფილება.

საანგარიშო პერიოდში განყოფილების შემადგენლობაში შედიოდა 2 თანამშრომელი: განყოფილების უფროსი და ერთი შრომის ინსპექტორი.

ამასთან, იძულებითი შრომის მიმართულებით, როგორც შრომითი უფლებების, ასევე შრომის უსაფრთხოების ნორმების აღსრულების შემოწმებისას შრომის ინსპექტორების მიერ შესაძლოა განხორციელდეს იძულებითი შრომის/შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევების იდენტიფიცირება, რა შემთხვევაშიც საქმე განსახილველად გადაეცემა იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის (ტრეფიკინგის) ზედამხედველობის განყოფილებას.

წინამდებარე ფუნქციების შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, შრომის ინსპექციის სამსახურში დასაქმებულ 35-მდე ახალ შრომის ინსპექტორს ჩაუტარდა საბაზისო ტრენინგები (როგორც შიდა ტრენინგების, ასევე დაძმობილების პროექტის ფარგლებში) მათ შორის იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის თემაზე, კერძოდ, ინსპექტირებისას შესამოწმებელ ობიექტზე შრომითი ექსპლუატაციისა და იძულებითი შრომის ნიშნების ძიება და გამოვლენის საკითხები, ასევე, დასაქმებულების აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოკითხვაში, მსხვერპლთა/დაზარალებულთა გამოვლენაში და მათთან მოპყრობის საკითხებზე.

სხვა თემატური ტრენინგები მოიცავდა შემდეგ ღონისძიებებს:

- 2022 წლის 7-8 აპრილს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლობით გაიმართა ტრენინგი იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის თემაზე. ტრენინგში, რომელსაც უძღვებოდა მოწვეული ექსპერტი, მონაწილეობა მიიღო შრომის ინსპექციის სამსახურის 36-მა თანამშრომელმა;

- 2022 წლის 7-11 ნოემბერს, შსს აკადემიაში განხორციელებულ ეროვნულ სიმულაციურ ტრენინგში მონაწილეობა მიიღო სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის 4-მა თანამშრომელმა.

საანგარიშო პერიოდში ასევე მიმდინარეობდა ტრენინგ მოდულის მომზადება მოქმედი შრომის ინსპექციის თანამშრომელთა სწავლებისთვის, შრომითი ექსპლუატაციის და იძულებითი შრომის ნიშნების ძიების და გამოვლენის საკითხებთან დაკავშირებით. ასევე, დასაქმებულების აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოკითხვის მეთოდიკასა და იძულებითი შრომის, შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლთა/დაზარალებულთა მოპყრობასთან დაკავშირებულ საკითხებთან.

აქტივობა 1.2.17 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე მოსამართლეებისა და მათი თანაშემწეების გადამზადება, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში

ინდიკატორი: გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა (მინ. 30); ტრენინგის რაოდენობა (მინ.2)

სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა

2021 წლის 20-21 მარტს იუსტიციის უმაღლესი სკოლის ორგანიზებით ჩატარდა 1 გაერთიანებული ტრენინგი მოსამართლეებისა და სასამართლოს სხვა მოხელეებისთვის

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე, რომელსაც დაესწრო 13 მონაწილე (6 მოსამართლე და 7 მოსამართლის თანაშემწე).

აქტივობა 1.2.18 არსებული სასწავლო მასალის საფუძველზე საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირთა გადამზადება ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა/დაზარალებულთან მოპყრობისა და დახმარების საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში

ინდიკატორი: გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა (მინ. 60); ტრენინგის რაოდენობა (მინ.2)

სტატუსი: სრულად შესრულდა

2021-2022 წლებში საკონსულო თანამდებობის პირების კვალიფიკაციისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- 2021 წლის 16 თებერვალი - 2 ივლისის პერიოდში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიურ სასწავლო და კვლევით ინსტიტუტში მიმდინარეობდა საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სავალდებულო სპეციალური სასწავლო პროგრამა. პროგრამის კურიკულუმი, მთელ რიგ საკონსულო საკითხებთან ერთად, მოიცავდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მოდულსაც. სასწავლო პროგრამა გაიარა საგარეო საქმეთა სამინისტროს 26-მა თანამშრომელმა;

- 2021 წლის 1-ელი ნოემბრიდან 23 დეკემბრის ჩათვლით, დისტანციურ რეჟიმში გაიმართა ტრენინგების სერია ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ საკონსულო თანამდებობის პირებისათვის. ღონისძიება ჩატარდა საკონსულო დეპარტამენტის ორგანიზებითა და კონსორციუმის (GOPA, ICMPD, PMCG) მხარდაჭერით და მისი წამყვანი ტრენერი იყო ექსპერტი, ქალბატონი რუსუდან ტუშური. საკონსულო თანამდებობის პირებს ლექცია წაუკითხეს ექსპერტებმა სახალხო დამცველის აპარატიდან, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიდან და გაეროს ბავშვთა ფონდიდან (UNICEF). ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ყველა საკონსულო თანამდებობის პირმა (ჯამში 86), რომლებიც 4 ნაკადად იყვნენ დაყოფილი. გადამზადების ღონისძიებას წინ უძღოდა ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ სახელმძღვანელოს მომზადება, რომელიც განკუთვნილია საკონსულო თანამდებობის პირების სამსახურებრივი სარგებლობისათვის და, რომელიც მომზადდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით. სახელმძღვანელო, ისევე როგორც მიმდინარე სასწავლო კურსის შინაარსი ეფუძნება ავტორისა და ტრენერის, ქალბატონი რუსუდან ტუშურის მიერ წინასწარ ჩატარებულ კვლევას და მორგებულია საკონსულო თანამდებობის პირების პრაქტიკულ საქმიანობასა და აქტუალურ საჭიროებებზე;

- 2021 წლის 6-10 დეკემბერს ჩატარდა ტრენინგი საკონსულო დეპარტამენტის თანამშრომელთა და საზღვარგარეთ მყოფ საკონსულო თანამდებობის პირებისათვის (ჯამში 20 მონაწილე) - „დოკუმენტების შემოწმებისა და ინტერვიუს ჩატარების უნარები საქართველოს ვიზის გაცემაზე პასუხისმგებელი პირებისათვის“. ტრენინგი გაიმართა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ევროკავშირის მხარდაჭერით.

ტრენინგის ერთ-ერთი სესია ეძღვნებოდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებს;

– 2021 წლის ნოემბერი - 2022 წლის მაისის პერიოდში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიურ სასწავლო და კვლევით ინსტიტუტში მიმდინარეობდა საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სავალდებულო სპეციალური სასწავლო პროგრამა. პროგრამის კურიკულუმი, მთელ რიგ საკონსულო საკითხებთან ერთად, მოიცავდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მოდულსაც. სასწავლო პროგრამა გაიარა საგარეო საქმეთა სამინისტროს 33-მა თანამშრომელმა. იგივე კურსი მიმდინარეობდა 2022 წლის ოქტომბრიდან, რომელიც დასრულდა 2023 წლის თებერვალში, და მასში მონაწილეობა მიიღო სამინისტროს 28 თანამშრომელმა.

საგარეო საქმეთა მინისტრის 2022 წლის 1-ელი აპრილის ბრძანებით საკონსულო თანამდებობის პირების სამსახურებრივი სარგებლობისათვის დამტკიცდა 2021 წელს მომზადებული პრაქტიკული სახელმძღვანელო კონსულებისთვის - „ადამიანის უფლებები“.

აქტივობა 1.2.19 იუსტიციის სახლების, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებისა და საზოგადოებრივი ცენტრების თანამშრომელთა გადამზადება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში

ინდიკატორი: გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა (მინ. 120)

სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრისა (ICMPD) და სსიპ - იუსტიციის სასწავლო ცენტრის თანამშრომლობით, სსიპ - იუსტიციის სახლის თანამშრომლების გადამზადების მიზნით, 2021 წლის 4-5 და 11-12 დეკემბერს გაიმართა ტრენერთა ტრენინგი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) თემაზე. ტრენინგის 41 მონაწილე იუსტიციის სახლის თანამშრომლები თანაბრად იყვნენ წარმოდგენილები დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებიდან.

აქტივობა 1.2.20 საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილე ქართველი სამხედროების მომზადება ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა/დაზარალებულების იდენტიფიცირების, მათთან მოპყრობის, მათი დახმარებისა და რეფერირების საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ახალი კორონავირუსით გამოწვეული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე ონლაინ ფორმატში

ინდიკატორი: გადამზადებული სამხედროების რაოდენობა (მინ. 100)

სტატუსი: სრულად შესრულდა

2021 წლის პირველ ნახევარში ტრეფიკინგის თემაზე იუსტიციის სამინისტროსა ან/და თავდაცვის სამინისტროს ძალისხმევით ჯამში გადამზადდა სამშვიდობო მისიებში მონაწილე 1200-მდე სამხედრო მოსამსახურე.

დამატებით, 2021 წელს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე თავდაცვის სამინისტრომ გადაამზადა საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილე 886 სამხედრო მოსამსახურე.

ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის ასეულისთვის ტრეფიკინგის საკითხებზე წინასწარი მომზადების ტრენინგი ჩატარდა 2021 წლის 6 აპრილს. ტრენინგზე დამსწრე პერსონალის საერთო რაოდენობამ 38 იყო.

2022 წლის 8 თებერვალს, EUTM RCA-სთვის წინასწარი მომზადების ფარგლებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ საქართველოს ეროვნული გვარდიის ოცეულების პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგი თემაზე „ტრეფიკინგი და სამშვიდობო ოპერაციები'', რომელსაც 50-მდე მონაწილე ესწრებოდა.

ამოცანა 1.3 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა

სტატუსი: სრულად შესრულდა

2021-2022 წლებში სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიერ შეთავაზებული სერვისებით ისარგებლა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) 6-მა დაზარალებულმა/მსხვერპლმა, რაც საბაზისო მაჩვენებელთან (4) შედარებით 50%-იან ზრდას გულისხმობს.

აქტივობა 1.3.1 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა არსებული თავშესაფრების და კრიზისული ცენტრების საქმიანობის მონიტორინგი

ინდიკატორი: განხორციელებული მონიტორინგი (მინ. 4)

სტატუსი: სრულად შესრულდა

2021 წელს სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა სააგენტომ განახორციელა ჯამში 9 მონიტორინგი, რომელთაგან 4 მონიტორინგი იყო გეგმიური, ხოლო არაგეგმიური კი - 5. კერძოდ:

- 2021 წლის 17-19 თებერვალის - არაგეგმიური მონიტორინგი ბათუმის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურე და ქუთაისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებში;

- 2021 წლის 20 აპრილს - გეგმიური მონიტორინგი თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი);

- 2021 წლის 11 მაისს - გეგმიური მონიტორინგი სიღნაღის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი);

- 2021 წლის 21 მაისს - გეგმიური მონიტორინგი თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი);

- 2021 წლის 14 ივლისს - არაგეგმიური მონიტორინგი თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრში;

- 2021 წლის 11 აგვისტოს - არაგეგმიური მონიტრინგი გორის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში;

- 2021 წლის 16 აგვისტოს - გეგმიური მონიტრინგი სიღნაღის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი).

- 2021 წლის 28 დეკემბერს - არაგეგმიური მონიტორინგი გორის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარი და კრიზისული ცენტრი).

ზრუნვის სააგენტომ 2022 წელს განახორციელა 13 მონიტორინგი. კერძოდ:

- 2022 წლის 25 იანვარს, სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულში - თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარი);

- 2022 წლის 20 იანვარს, სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებში - თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრში და სიღნაღის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარი);

- 2022 წლის 21 იანვარს, სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულში - გორის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარი და კრიზისული ცენტრი);

- 2022 წლის 27 და 28 იანვარს, სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებში - ბათუმის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარი) და ქუთაისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარი და კრიზისული ცენტრი);

- 2022 წლის 18 აპრილს გეგმიური მონიტორინგი განახორციელდა ოზურგეთის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრში;

- 2022 წლის 30-31 აგვისტოს, გეგმიური მონიტორინგი - ბათუმის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარი);

- 2022 წლის 13 სექტემბერს გეგმიური მონიტორინგი - თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარი);

- 2022 წლის 14-16 სექტემბერს გეგმიური მონიტორინგი - ქუთაისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში(თავშესაფარი და კრიზისული ცენტრი);

- 2022 წლის 28 სექტემბერს გეგმიური მონიტორინგი - სიღნაღის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარი);

- 2022 წლის 30 სექტემბერს გეგმიური მონიტორინგი - თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში;

- 2022 წლის 24 ოქტომბერს, 07 ნოემბერს და 21 დეკემბერს განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგი სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულში - გორის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში.

აქტივობა 1.3.2 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულ უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მუდმივ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში, ხოლო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ საქართველოს მოქალაქეთა საქართველოს ტერიტორიაზე უსაფრთხოდ დაბრუნების უზრუნველყოფა

ინდიკატორი: მუდმივ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში დაბრუნებულ ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა რაოდენობა

სტატუსი: სრულად შესრულდა

ზრუნვის სააგენტო მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) მჭიდრო თანამშრომლობით ახორციელებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ/დაზარალებულ უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მუდმივ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში რეპატრიაციის სერვისს.

2021-2022 წლებში მუდმივ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში დაბრუნების მომსახურების გაწევის საჭიროება, ზრუნვის სააგენტოს ბენეფიციარებისათვის არ დამდგარა.

აქტივობა 1.3.3 უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა, საჭიროების შემთხვევაში, დროებითი ბინადრობის ნებართვით უზრუნველყოფა

ინდიკატორი: მსხვერპლთა/დაზარალებულთა რაოდენობა, რომლებსაც მიეცათ დროებითი ბინადრობის ნებართვა

სტატუსი: სრულად შესრულდა

2021 წელს, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ გასცა სპეციალური ბინადრობის ერთი ნებართვა, ხოლო 2022 წელს, სპეციალური ბინადრობის ერთი ნებართვა.

აქტივობა 1.3.4 ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით არსებული პრაქტიკისა და შესაძლებლობების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება

ინდიკატორი: განხორციელებული ანალიზი

სტატუსი: არ შესრულდა

საანგარიშო პერიოდში აქტივობა არ განხორციელებულა.

აქტივობა 1.3.5 ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირების მუდმივმოქმედი ჯგუფისთვის სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება

ინდიკატორი: სახელმძღვანელო დოკუმენტი

სტატუსი: სრულად შესრულდა

საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მჭიდრო თანამშრომლობით, შემუშავებული იქნა ტრეფიკინგის სახელმძღვანელო მობილური ჯგუფებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირების მუდმივმოქმედი ჯგუფის წევრებისათვის, ხოლო ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების იდენტიფიცირებაზე მომუშავე მობილური ჯგუფებისთვის განახლდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სავარაუდო მსხვერპლის კონფიდენციალური საიდენტიფიკაციო კითხვარი.

აქტივობა 1.3.6 ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირების მუმდივმოქმედი ჯგუფის უნარ-ჩვენების ამაღლება ტრენინგის გზით

ინდიკატორი: გადამზადებული წევრების რაოდენობა (მინ. 5); ჩატარებული ტრენინგი (მინ. 1)

სტატუსი: სრულად შესრულდა

მობილური ჯგუფებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირების მუდმივმოქმედი ჯგუფის წევრებისათვის 2021 წელს შემუშავებული სახელმძღვანელოს საფუძველზე, 2021 წლის 21-23 ოქტომბერს გაიმართა თემატური ტრენინგი მსხვერპლთა იდენტიფიცირების მუდმივმოქმედი ჯგუფის წევრებისთვის. ტრენინგს, რომელსაც დამოუკიდებელი ეროვნული ექსპერტები უძღვებოდნენ, მუდმივმოქმედი ჯგუფის ძირითადი და სათადარიგო წევრები ესწრებოდნენ (ჯამში 7 მონაწილე).

აქტივობა 1.3.7 ზრუნვის სააგენტოს პერსონალის უნარ-ჩვევების ამაღლება ტრეფიკინგის მსხვერპლებთა, დაზარალებულთა დახმარების საკითხებში ტრენინგების გზით

ინდიკატორი: გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა (მინ. 10); განხორციელებული ტრენინგი (მინ.1)

სტატუსი: სრულად შესრულდა

სსიპ - სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, 2021-2022 წლებში განხორციელდა შემდეგი აქივობები:

- 2021 წლის 20-21 მაისს, იუსტიციის სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ორგანიზებით, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგი სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს და სერვისის მომწოდებელი ორგანიზაციების თანამშრომლებისათვის ბავშვთა

ვაჭრობის/ტრეფიკინგის საკითხებზე. ზრუნვის სააგენტოდან ტრენინგს ჯამში 12 მონაწილე დაესწრო;

- 1.2.9 აქტივობაში მითითებულ ტრენინგში, რომელიც 2021 წლის 10-11 ივნისს გაიმართა, თემაზე "მსხვერპლთა ფსიქოსოციალური მხარდაჭერა და ფსიქოლოგიური კონსულტაცია", მონაწილეობა მიიღო ზრუნვის სააგენტოს 9 თანაშრომელმა;

- 1.2.8 აქტივობაში მითითებულ ტრენინგში, რომლიც 2021 წლის 29-30 ნოემბერს გაიმართა, თემაზე "ბავშვთა ექსპლუატაციის ფსიქოლოგიური ასპექტები და ეფექტური კომუნიკაცია", მონაწილეობა მიიღო ზრუნვის სააგენტოს 5-მა თანამშრომელმა;

- 2021 წლის 27 სექტემბერი - 1 ოქტომბერის პერიოდში, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ორგანიზებით, იტალიაში ჩატარებულ საერთაშორისო სიმულაციურ ტრენინგში, რომლის მიზანი იყო ევროპაში ტრეფიკინგთან ბრზოლის მექანიზმების უკეთ გაცნობა, მონაწილეობა მიიღო ზრუნვის სააგენტოს 3-მა წარმომადგენელმა;

- 2022 წლის 7-11 ნოემბერს, პოლიციის აკადემიაში ჩატარებულ ეროვნულ სიმულაციურ ტრენინგში ტრეფიკინგის თემაზე, მონაწილეობა მიიღო ზრუნვის სააგენტოს 11-მა თანამშრომლებმა (სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, იურისტი).

აქტივობა 1.3.8 ტრენინგის გზით იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე

ინდიკატორი: გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა (მინ. 20); განხორციელებული ტრენინგი (მინ.1)

სტატუსი: სრულად შესრულდა

2021 წლის 10 და 15 ნოემბერს, პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში" (USAID/PROLoG) მხარდაჭერით, დისტანციურ რეჟიმში, ჩატარდა ტრენინგები თემაზე - „ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)". ტრენინგებში მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივი ადვოკატები და კონსულტანტები. გადამზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის 30 თანამშრომელი (10 ნოემბერს - 13 მონაწილე; 15 ნოემბერს - 17 მონაწილე).

აქტივობა 1.3.9 სამედიცინო სერვისების მიმწოდებლების გადამზადება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე

ინდიკატორი: გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა (მინ. 20); განხორციელებული ტრენინგი (მინ.1)

სტატუსი: არ შესრულდა

2021-2022 წლებში, COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გამო აქტივობა არ განხორციელებულა.

აქტივობა 1.3.10 ტრენინგის გზით სოციალური მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლება ტრეფიკინგის მსხვერპლებისა და დაზარალებულების დახმარების საკითხებში

ინდიკატორი: გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა (მინ. 10); განხორციელებული ტრენინგი (მინ.1)

სტატუსი: სრულად შესრულდა

1.3.7 აქტივობაში მითითებულ ტრენინგში, რომელიც 2021 წლის 20-21 მაისს გაიმართა, ბავშვთა ვაჭრობის/ტრეფიკინგის საკითხებზე, ზრუნვის სააგენტოს 12-მა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა, საიდანაც 6 მონაწილე იყო სოციალური მუშაკი.

1.3.7 აქტივობაში მითითებულ ტრენინგში, რომელიც 2022 წლის 7-11 ნოემბერს გაიმართა, ზრუნვის სააგენტოს 11-მა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა, საიდანაც 6 მონაწილე იყო სოციალური მუშაკი.

ამოცანა 1.4 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის გაუმჯობესება კოორდინაციისა და თანამშრომლობის მექანიზმის გაძლიერების გზით

სტატუსი: ნაწილობრივ შესრულდა

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორნგის საფუძველზე დადგინდა, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 53 აქტივობიდან სრულად შესრულდა 37 აქტივობა (69.8%), მეტწილად შესრულდა 3 აქტივობა (5.7%), ნაწილობრივ შესრულდა 4 აქტივობა (7.6%), და არ შესრულდა 9 აქტივობა (16.9%)

აქტივობა 1.4.1 სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრეს ანგარიშის (6-თვიანი) და მონიტორინგის ანგარიშის (წლიური) მომზადება

ინდიკატორი: მომზადებული და გასაჯაროებული პროგრეს და მონიტორინგის ანგარიშები

სტატუსი: სრულად შესრულდა

2021 წლის ზაფხულში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭოს სამდივნომ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების 6-თვიანი ანგარიშის მომზადების მიზნით წევრი და პარტნიორი სამთავრობო უწყებებისაგან გამოითხოვა ინფორმაცია სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების შესახებ. შედეგად, შემუშავებული იქნა სამოქმედო გეგმის პროგრეს (6 თვის) ანგარიში.

2022 წლის თებერვალში სამდივნოს ფაგლებში დაიწყო მუშაობა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის წლიური (2021 წლის) ანგარიშის მომზადების მიზნით. საბჭოს წევრი და პარტნიორი სამთავრობო თუ არასამთავრობო უწყებებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე 2022 წლის მარტი-აპრილის პერიოდში მომზადდა სამოქმედო გეგმის 1-წლიანი ანგარიში.

აქტივობა 1.4.2 ახალი სამოქმედო გეგმის პროექტის მომზადება და საბჭოს მიერ დამტკიცება

ინდიკატორი: დამტკიცებული სამოქმედო გეგმა

სტატუსი: სრულად შესრულდა

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმეგ ბრძოლის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა ტრეფიკინგთან ბრძოლის საბჭომ დაამტკიცა 2022 წლის 21 დეკემბერს. 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავების მიზნით საბჭოს ფარგლებში მომზადდა გეგმის პროექტის პირველადი ვერსია, რომელიც კომენტარებისა და რეკომენდაციებისთვის დაეგზავნა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს, სახალხო დამცველის აპარატს, ამერიკის საელჩოს და საბჭოში ჩართულ სხვა წევრებს. მათი რეკომენდაციები და კომენტარები აისახა სამოქმედო გეგმის პროექტში.

სამოქმედო გეგმა შემუშავდა „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილების შესაბამისად. შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციების (ევროპული კომისია, ევროპის საბჭოს ტრეფიკინგთან ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფი (GRETA), ეუთო, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი), გაეროს სპეციალური მომხსენებლების (ბავშვთა ვაჭრობის, პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებელი და სპეციალური მომხსენებელი ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ), ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები. შემუშავების პროცესში, ასევე, გათვალისწინებულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი სტანდარტები.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა ქართულ და ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ. გვერდზე - https://justice.gov.ge/?m=articles&id=2lY5ZDNY24.

აქტივობა 1.4.3 ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების გზით სახელმწიფო უწყებების თანამშრომლობის გაღრმავება არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან

ინდიკატორი: განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა (მინ. 4)

სტატუსი: სრულად შესრულდა

საბჭოს წევრი სამთავრობო უწყებები აქტიურად თანამშრომლობენ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ტრეფიკინგის კუთხით პრევენციული, კვალიფიკაციის ამაღლების თუ სხვა სახის ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების კუთხით. არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად არიან, ასევე, ჩართული ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის განხორციელებასა თუ საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავების პროცესში.

დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ინფორმაცია პრევენციისა და კვალიფიკაციის ამაღლების აქტივობების შესრულების თაობაზე ინფორმაცია.

აქტივობა 1.4.4 შრომითი ექსპლუატაციის პრევენციისა და მასზე რეაგირების მიზნით ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავება

ინდიკატორი: ბიზნეს სექტორის მონაწილეობით საბჭოს ფარგლებში სამუშაო ჯგუფის შექმნა; სამუშაო ჯგუფის შეხვედრების რაოდენობა (მინ. 4)

სტატუსი: სრულად შესრულდა

საანგარიშო პერიოდში შრომის ინსპექციის სამსახურის ორგანიზებით, ასევე პარტნიორი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მხარდაჭერით დამსაქმებლებისათვის რეგიონულ დონესა თუ სექტორულ ჭრილში შრომის თემატიკასთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიახლეების გაცნობის მიზნით 30 შეხვედრა გაიმართა 1 200-მდე ბიზნესის წარმომადგენელთან. სადაც განხილული იყო შრომითი უფლებებისა და უსაფრთხოების მიმართულებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები და მიმდინარე სიახლეები, სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნებისა თუ უსაფრთხოების ნიშნების განთავსების შესახებ შემუშავებული ახალი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები, სამსახურის მიერ პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაციის, სექსუალური შევიწროების, იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის ზედამხედველობასთან დაკავშირებული საკითხები, ბავშვთა შრომისა და არასრულწლოვანთა შრომის აკრძალვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოთხოვნები და შრომითი უფლებების საკითხები.

ამასთან, 2022 წელს სავაჭრო პალატის, კერძო მეწარმეობის საერთაშორისო ცენტრის (CIPE) ორგანიზებით, რეგიონულ დონეზე (აჭარა, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, ქვემო ქართლი და კახეთი) გაიმართა შრომის ინსპექციის სამსახურის წარმომადგენლების შეხვედრა ადგილობრივ მეწარმეებთან. შეხვედრაზე მოხდა მეწარმეებისთვის შრომის კანონმდებლობის სიახლეების გაცნობა, მათ შორის იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის ზედამხედველობასთან დაკავშირებული საკითხების, ასევე ბავშვთა შრომისა და არასრულწლოვანთა შრომის აკრძალვასთან დაკავშირებული საკნონმდებლო მოთხვონების გაცნობა.

შრომის ინსპექციის სამსახურმა საქართველოში არსებული სხვადასხვა სექტორული და არასექტორული ბიზნეს ასოციაციების და ფედერაციების წარმომადგენლებთან გამართა ფართო მასშტაბიანი შეხვედრა კერძო მეწარმეობის საერთაშორისო ცენტრისა და ევროპის ბიზნეს ასოციაციასთან თანამშრომლობით, სადაც განხილულ იქნა შრომითი უფლებების, მათ შორის იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის ზედამხედველობასთან დაკავშირებული საკითხების, ასევე ბავშვთა შრომისა და არასრულწლოვანთა შრომის აკრძალვასთან დაკავშირებული საკნონმდებლო მოთხვონების და უსაფრთხოების მიმართულებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების, კანონმდებლობის აღსრულების პროცესისა და ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევების საკითხები.

გარდა ამისა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით ფართო მასშტაბიანი შეხვედრები განხორციელდა საქართველოს ბიზნეს ასოციაციის (GEA) წევრებთან, რომელსაც ჯამში 500-მდე კომპანიის წარმომადგენელი ესწრებოდა. სადაც ასევე განსახილველ საკითხს წარმოადგენდა იძულებითი შრომის და შრომითი ექსპლუატაციის, ასევე ბავშვთა და არასრულწლოვანთა შრომითი უფლებების საკითხები.

დამატებით, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით, შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ არაერთი შეხვედრა გაიმართა სექტორულ ჭრილში ბიზნესთან. მაგალითად, ტურიზმის, განთავსებისა და კვებით უზრუნველყოფის საქმიანობების განმახორციელებელ სექტორის წარმომადგენლებთან. შეხვედრების მიზანი იყო ამ სექტორის სწრაფად გააქტიურების ფონზე არსებული გამოწვევების შესაბამისად შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმებისა და უსაფრთხოების კუთხით არსებული რეგულაციების გაცნობა. შეხვედრები განხორციელდა საქართველოს სხვადასხვა მსხვილ ქალაქში (თბილისი, თელავი, ქუთაისი, ბათუმი), რომელსაც სექტორული ბიზნესის 300-მდე წარმომადგენელი დაესწრო და მისი მიზანი გახლდათ შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების შესახებ დამსაქმებელთა ცნობიერების ამაღლების გზით შიდა ტურიზმისხელშეწყობისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

იუსტიციის სამინისტროს ორგანიზებით, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან თანამშრომლობითა და საქართველოში ევროპის კავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა კვლევა თემაზე - ბიზნეს სექტორის როლი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. კვლევა დამოუკიდებელი ეროვნული ექსპერტის ჩართულობით განხორციელდა და სფეროში არსებული საკანონმდებლო რეგულაციების, საერთაშორისო რეკომენდაციებისა და პრაქტიკაში არსებული გამოწვევების საკითხებს შეეხო.

აქტივობა 1.4.5 ბავშვთა ტრეფიკინგის შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით ზრუნვის სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის ერთობლივი სამუშაო შეხვედრების ჩატარება

ინდიკატორი: შეხვედრების რაოდენობა (მინ. 2)

სტატუსი: სრულად შესრულდა

2022 წლის 27 დეკემბერს საქართველოს გენერალური პროკურატურის ორგანიზებით გაიმართა შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის, პრევენციისა და აღკვეთის სამუშაო ჯგუფის ონლაინ შეხვედრა. გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებმა, სამუშაო ჯგუფის წევრებს წარუდგინეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) 2022 წლის ანალიზის შედეგები, სისხლის სამართლის საქმეთა ტენდენციები, გამოწვევები და სამომავლო გეგმები. შეხვედრაზე განიხილეს შრომითი ტრეფიკინგის მიმართულებით გატარებული ღონისძიებები, მათ შორის ბავშვთა ტრეფიკინგის შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირების მექანიზმები და შრომითი ტრეფიკინგის აღკვეთის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, განსაზღვრეს სამუშაო ჯგუფის სამომავლო გეგმები.

ამასთან, 2022 წლის 21 დეკემბერს გაიმართა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს სხდომა, რომელსაც, საბჭოს წევრ უწყებებთან ერთად, ადგილობრივი არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. სხდომის ფარგლებში თითოეულ უწყებას მიეცა შესაძლებლობა ერთობლივად განხილულიყო 2021-2022 წლების განმავლობაში სახელმწიფოს მიერ ტრეფიკინგის წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებები და ერთობლივად დაეგეგმათ შემდგომი ნაბიჯები.

აქტივობა 1.4.6 შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით ჯანდაცვის სამინისტროს (შრომის ინსპექციის სამსახური), შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის ერთობლივი სამუშაო შეხვედრების ჩატარება

ინდიკატორი: შეხვედრების რაოდენობა (მინ. 2)

სტატუსი: სრულად შესრულდა

2021 წლის 6 დეკემბერსა და 2022 წლის 27 დეკემბერს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ორგანიზებით გაიმართა შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის, პრევენციისა და აღკვეთის სამუშაო ჯგუფის ონლაინ შეხვედრა. სახელმწიფო უწყებების (პროკურატურა, შსს, იუსტიციის სამინისტრო, ზრუნვის სააგენტო, შრომის ინსპექცია, სოციალური სააგენტო) წარმომადგენლებმა განიხილეს შრომითი ტრეფიკინგის მიმართულებით გატარებული ღონისძიებები. აღნიშნული სამუშაო ჯგუფის მიზანია სახელმწიფო უწყებების კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოსავლენად.[4]

აქტივობა 1.4.7 სამართლის პროცესში მონაწილე უწყებების მიერ, საჭიროების შემთხვევაში, დასრულებული საქმეების ერთობლივი განხილვა ტრეფიკინგის დანაშაულის ახალი ტენდენციების გამოვლენის მიზნით

ინდიკატორი: განხორციელებული შეხვედრების რაოდენობა (მინ. 2); გამოვლენილი ტენდენციები და, საჭიროების შემთხვევაში, ტენდენციების შესაბამისად შემუშავებული რეკომენდაციები

სტატუსი: სრულად შესრულდა

2022 წლის 4 მაისს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების, პროკურორებისა და მოსამართლეების სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე სპეციალისტების ერთობლივი სამუშაო შეხვედრა აშშ სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდაცვითი პროგრამების საერთაშორისო ბიუროს (INL) დაფინანსებით, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერითა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ორგანიზებით გაიმართა.

შეხვედრის მონაწილეებმა ტრეფიკინგის მიმართულებით არსებული მდგომარეობა და უწყებების მხრიდან ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები მიმოიხილეს. ასევე, მონაწილეებმა სექსუალური და შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევების კვალიფიკაციის კუთხით არსებულ გამოწვევებზე იმსჯელეს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბავშვთა მათხოვრობაში ჩაბმის შემთხვევების კვალიფიკაციის საკითხებს და ამ მიმართულებით არსებული პრაქტიკის მიმოხილვას. მსჯელობის საგანს წარმოადგენდა ტრეფიკინგის გამოძიების სპეციფიკური ასპექტები, სამართალდამცველთა საქმიანობა დანაშაულის პროაქტიულად გამოვლენისა და ტრეფიკიორთა პასუხისგებაში მიცემის

[4] https://pog.gov.ge/uploads/2ab01e8b-saqarTvelos-prokuraturis-2021-wlis-saqminaobis-angarishi.pdf (გვ. 70)

კუთხით. შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა სამომავლო გეგმები დასახეს და თანამშრომლობის გაგრძელებაზე მზაობა გამოთქვეს.

ამასთან, 2022 წლის 21-23 ივლისს, იუსტიციის სამინისტროს ორგანიზებით, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობითა და საქართველოში აშშ-ის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა ტრეფიკინგის დანაშაულის გამოვლენაზე პასუხისმგებელი უწყებების წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრა. შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა შრომითი და სექსუალური ექსპლუტაციის შემთხვევების გამოვლენასთან, სისხლისსამართლებრივ დევნასთან და მსხვერპლებთან, დაზარალებულებთან თანამშრომლობის პრაქტიკული გამოწვევები.

აქტივობა 1.4.8 პარტნიორი ქვეყნების, განსაკუთრებით კი საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოების შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავება/მოლაპარაკებების დაწყება, მათ შორის ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით

ინდიკატორი: სამთავრობათაშორისო შეხვედრების რაოდენობა; გაფორმებული ხელშეკრულებების/მემორანდუმების რაოდენობა

სტატუსი: სრულად შესრულდა

ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით დანაშაულთან ბრძოლის, მიგრაციისა და რეადმისიის საკითხებზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2021-2022 წლებში გააფორმა შემდეგი საერთაშორისო დოკუმენტები:

- ურთიერთგაგების მემურანდუმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ლიეტუვას რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის 2021-2022 წლებში შინაგან საქმეთა სფეროში თანამშრომლობის შესახებ“;

- ურთიერთგაგების მემორანდუმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ჩეხეთის რესპუბლიკის უსაფრთხოების ძალების გენერალურ ინსპექტორატს შორის“;

- 2021 წლის 9 აგვისტოს ორმხრივი თანამშრომლობის გეგმა შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციასა და ლატვიის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახურს შორის;

- 2021 წლის 5 ივლისს, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და არაბთა გაერთიანებული საემიროების შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის პოლიციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმი;

- 2021 წლის 7 ოქტომბერს, ,,საქართველოს მთავრობასა და მონტენეგროს მთავრობას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ" შეთანხმება.

2022 წელს, იუსტიციის სამინისტროს ორგანიზებით, აშშ-ის საელჩოს ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) მიერ დაფინანსებული

პროექტის ფარგლებში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით, უზბეკეთის დედაქალაქში, ტაშკენტში განხორციელდა ქართული დელეგაციის ვიზიტი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე. ვიზიტის მიზანი იყო ორ მხარეს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და გამოწვევებსა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე ერთობლივი მსჯელობა. ვიზიტში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, გენერალური პროკურატურის, საგარეო საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენლებმა.

აქტივობა 1.4.9 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეებზე უცხო ქვეყნების სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობების შესრულება და საქართველოს კომპეტენტური ორგანოების სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობების გადაგზავნა მოკლე ვადებში

ინდიკატორი: შესრულების ვადა 2 თვე; გადაგზავნის ვადა 20 დღე

სტატუსი: სრულად შესრულდა

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პროკურატურის მხრიდან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეებზე უცხო ქვეყნების სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობების შესრულების საშუალო პერიოდი იყო 31 დღე (შემოვიდა 4 შუამდგომლობა), ხოლო საქართველოს კომპეტენტური ორგანოების სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობების გადაგზავნის საშუალო პერიოდი 7 დღე.

რაც შეეხება 2022 წელს, საქართველოს პროკურატურის მხრიდან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეებზე უცხო ქვეყნების სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობების შესრულების საშუალო პერიოდი იყო 31 დღე (შემოვიდა 10 შუამდგომლობა). საქართველოს პროკურატურის კომპეტენტური ორგანოებიდან ადამიანით ვაჭრობის საქმეებზე უცხო ქვეყანაში გაიგზავნა ერთი შუამდგომლობა. შუამდგომლობის გადაგზავნის საშუალო პერიოდმა 7 დღე შეადგინა.